ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 ნოემბერი 2002 №226 (1748) ფასი 50 თეთრი


# მილანელი ვარ, უნდა ვაჯობო!

CHAMPIONS LEAGUE

## კალაძემ ფიგუს ორი ფეხი დაუთვალა და მარჯვნივ გასწია

CHAMPIONS LEAGUE




REUTERS მილანიდან

მილანი — რეალი 1:0. კახა კალაძემ შეტევისთვისაც მოიცალა და ლუიშ ფიგუს გასაქანიც არ მისცა

*ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი ისეთი მატჩით დაიწყო, ფინალს რომ მოუხდებოდა. სრულიად ფანტასტიკური კი იყო ტურინელი ბირინდელის „დეპორტივოსთვის" გატანილი გოლი, „იუვენტუსმა" დიდებულად შეატრიალა ლამის წაგებული თამაში, საოცარი მომენტები შექმნა „ბაზელმა" და სასტიკი გახლდათ „მანჩესტერის" ექვსწუთიანი შურისძიება, მაგრამ, როცა „მილანი" ხვდება „რეალს" – თუგინდ თამაშისას არაფერი მოხდეს – მთავარი მატჩი უთუოდ ისაა. მით უმეტეს, გუშინ მათი შეხვედრისას ბლომად გამოსარჩევი რამ მოხდა. ჩვენთვის უმთავრესად აღსანიშნავი კი ასაა, რომ კახა კალაძეს საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი თვით ლუიშ ფიგუ და იმდენიც მოახერხა, თავისთვის ორი ნაღდი საგოლე მომენტიც შექმნა. კახა კალაძეს მატჩის დასრულებისთანავე მილანში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ*

ძალიან საინტერესო და ჩვენთვის მნიშვნელოვანი მატჩი იყო— „მილანი" ევროპის ჩემპიონ „რეალს" მასპინძლობდა, „რეალს", რომელმაც ბოლო ხანს ყველა დაჩაგრა და დღემდე ევროპის საუკეთესო გუნდად ითვლება. წინა შაბათს, როცა „ინტერს" ვეთამაშებოდით, ისიც ვიცოდით, რომ „სან სიროზე" „რეალთან" მატჩის ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ენით ვერ გადმოგცემთ, ამ ორ კვირას მილანში რა ხდებოდა. ჯერ „ინტერი", ახლა — „რეალი". ორი თამაშით „მილანმა" დაამტკიცა, რომ სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია.

**— სავსე „სან სიროზე" ბევრჯერ გითამაშია, „რეალს" კი პირველად დაუხვდი. მოდი, თუ შეძლებ, პირველი ემოცია გადმოგვეცი — შენს წინააღმდეგ ზიდანი, ფიგუ, კარლოსი, რაული...**

— როცა გასახდელიდან გამოვდივარ, ყველაფერს იქ ვტოვებ, მოედნისკენ მივდივარ და ვფიქრობ, ჩემს ტოლ-სწორს უნდა ვეთამაშო. ფიგუ, ზიდანი, რაული ისეთივენი არიან, როგორიც კალაძე, ოთხი ფეხი არც ერთს აქვს. მოედანზე მისალმებისას ჩემთვის ყველა ერთია, მე მილანელი ვარ, სხვა — მეტოქე, ესე იგი, უნდა ვაჯობო. „რეალის" წინააღმდეგ კი, რა თქმა უნდა, გუნდიც და ქომაგიც შესაძლებლობებზე მეტს გვთხოვდა. ვფიქრობ, ეს შევძელით.

**— მეორე ტაიმში ფიგუმ ჩვეული პოზიცია შეიცვალა და, ასე ვთქვათ, გაგშორდა, საპირისპირო ფლანგზე გადაინაცვლა...**

— ხშირად შუისკენ მოძრაობდა, დაუღალავი ფეხბურთელია, უზადო ტექნიკის მქონე...

**— კი, მაგრამ, ჩვენ სხვა გვაინტერესებს. როგორ ფიქრობ, მარცხენა ფლანგზე ფიგუ შენ გაგარიდეს?**

— ეგ თქვენ შეაფასეთ, ვერაფერს ვიტყვი.

**— კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?**

— ეგეც თქვენი საქმეა.

**— მატჩის ბოლოსკენ მადრიდელ ელგერას ლამის ცხვირპირში უთავაზე. მშვიდ კაცად გიცნობთ. მაინც რა მოხდა?**

— „რეალი" კუთხურს ანვდიდა და საჯარიმოში, ცხადია, პოზიციისთვის ბრძოლა გაჩაღდა, ელგერას თვალებში ვუყურებდი, როცა უტიფრად, ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა და ფეხი ფეხზე მტკივნეულად დამაბიჯა. ისე გავმწარდი, რომ მოედნის მიღმა არ დავინდობდი.

**— მსაჯმა, როგორც ჩანდა, ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა „რეალს"...**

— ბევრს ეგრე ჰგონია, მაგრამ ვიდეოფირი გასახდელშივე ვნახეთ, თამაშგარე იყო.

**— ინძაგი მწვრთნელმა შეგნებულად არ ათამაშა თუ სხვა მიზეზის გამო?**

— როგორც გამოჩნდა, მწვრთნელის გადაწყვეტილებამ გაამართლა — ანჩელოტიმ ამ მატჩისთვის ინძაგის შევჩენკო ამჯობინა, მან ჩათვალა, რომ ანდრეი ინძაგიზე უკეთ იყო მომზადებული.

**— მატჩის მერე...**

— ნუ იტყვით, ასეთი მილანი არც მინახავს, ხალხი ტრიბუნიდან არ იშლებოდა, ქალაქში ზეიმია, „მილანის" ქომაგი უკვე დარწმუნებულია, ჩვენ ლიგასა და სკუდეტოს მოვიგებთ.

**— რეალურად?**

— „რეალს" მოვუგეთ და საამისო ძალა კი უნდა გვქონდეს.

**ძობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. I ტური

### C ჯგუფი

**მილანი 1:0 რეალი**

1:0 შევჩენკო (40)
მილანი: დიდა, შიმიჩი (შამოტი 90), კოსტაკურტა, მალდინი, პირლო, გატუზო, ზეედორფი, ამბროზინი, რუი კოშტა (სერჯინიო 76), შევჩენკო (ტომასონი 82), რივალდო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფლავიუ კონსეისაო (სოლარი 76), სელადესი, ზიდანი, რაული, მორიენტესი (პორტილიო 78)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
85 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 1:2 დორტმუნდი**

1:0 იგნაშევიჩი (31), 1:1 ფრინგსი (33), 1:2 კოლერი (43)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლავროვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ევსეევი, მამინოვი (ობრადოვიჩი 46), ლოსკოვი, ობიორა (ბუზნიკინი 64), პიმენოვი (ბაბა ადამუ 74)
მწვრთნელი: იური სიომინი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ვორნსი, [illegible] (მადუნი 89), ჰაინრიხი, დედე, ფრინგსი, [illegible] ([illegible] 90), კოლერი, ევერტონი (რიკენი 82)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### D ჯგუფი

**ბაზელი 1:3 მანჩესტერი**

1:0 ხიმენესი (1), 1:1, 1:2 ვან ნისტელროი (62, 63), 1:3 სოლსკიაერი (68)
ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ერგიჩი (ბარბერისი 84), კანტალუპო, ჩიპერფილდი (ტუმი 73), ჰ. იაკინი, ხიმენესი, როსი (დურუზი 84)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, ო'შეი, ბრაუნი (მეი 90), სილვესტრი, სოლსკიაერი (ჩადვიკი 90), ვერონი, ფორჩუნი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (ფორლანი 73)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
29 501 მაყურებელი

**დეპორტივო 2:2 იუვენტუსი**

1:0 ტრისტანი (9), 2:0 მაკაი (11), 2:1 ბირინდელი (38), 2:2 ნედვედი (67)
დეპორტივო: ხუანმი, სკალონი, სეზარი, რომერო, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი (ამავისკა 77), დუშერი, ტრისტანი (ლუკე 64), მაკაი (ვიქტორი 62)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
იუვენტუსი: ბუფონი, ტიურამი, იულიანო, მონტერო, ბირინდელი, დავიდსი, ტაკინარდი, კამორანეზი (ძამბროტა 75), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ზალაიეტა 75)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |


ბაზელი — მანჩესტერი. რუუდ ვან ნისტელროიმ შვეიცარიელები ორი გოლით „დაასაჩუქრა"


ჰერტა — ფულემი. სტუმარი მარტინ ჯეტუ შტეფან ბაინლიხს გადაახტა


დიეგო ტრისტანი ტურინელებს საგოლედ ერთხელ გაეპარათ


„მილანის" გამარჯვების გოლი ანდრეი შევჩენკომ შეაგდო

# უეფას თასი 2002-2003
## 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

პსჟ (საფრანგეთი) 2:1 ბოავიშტა (პორტუგალია)
1:0 ნიარკო (17), 2:0 ფიორეზე (45), 2:1 კლაუდიუ (75)
გაძევება: დეჰუ (32, პსჟ)

ჰერტა (გერმანია) 2:1 ფულემი (ინგლისი)
1:0 ბაინლიხი (26), 1:1 მარლე (53), 2:1 სავა (68ს.კ.)

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

ბრისტოლი 2:0 ლესტერი
კრისტალ პალასი 0:1 რედინგი

### ასოციაციის თასის 1 ეტაპი

იორკი 2:1 სუონსი
კემბრიჯი 2:1დ.დ.(1:1) სკარბორო
კარდიფი 2:1 ტრანმირი
ეძსეტერი 2:1 ფორესტ გრინი
ჰარტლპული 1:2 საუთენდი
მარგაიტი 1:0 ლეიტონი
ძუინზ პარკი 1:1 (პენ.3:4, 1:1) ვოქსოლი
რანკორნი 1:3დ.დ.(1:1) როვერსი
რაშდენი 2:1 კიდერმინსტერი
ძროული 3:2 ტივერტონი

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### გადადებული მატჩი

დრეზდენი 1:1 ოსნაბრიუკი


ლოკომოტივი — დორტმუნდი. სერგეი ოვჩინიკოვი ტორსტენ ფრინგსის ამ დარტყმას ვერ გაუმკლავდა

# ჩემპიონთა ლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ლევერკუზენი — ბარსელონა

საპარაუდო შემადგენლობები

| ლევერკუზენი | ბარსელონა |
|---|---|
| ბუტი, სებესკენი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, პლასენტე, ბალიტში, შნაიდერი, ბაბიჩი, ბიროფკა, ნოივილი, ბრდარიჩი | ბონანო, რაიციგერი, პუიოლი, ფ. ნავარო, მენდიეტა, ხავი, კოკუ, გაბრი, მოტა, კლუივერტი, რიკელმე |

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი) დისკვალიფიცირებულნი: ლევერკუზენი: არავინ; ბარსელონა: არავინ

### ნიუკასლი — ინტერი

საპარაუდო შემადგენლობები

| ნიუკასლი | ინტერი |
|---|---|
| გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ობრაიენი, პიუზი, სოლანო, სპიდი, დაიერი, ვიანა, შირერი, ბელამი | ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კოკო, ოკანი, ემრე, დალმა, მორფეო, ვიერი, კრესპო |

მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი) დისკვალიფიცირებულნი: ნიუკასლი: არავინ; ინტერი: არავინ

## გაჭირვებულის დაწუნებული

**შარშანდელი** ლიგის ფინალისტი ამ სეზონში მაშინდელის აჩრდილიღაა. მიხაელ ბალაკისა და ზე რობერტოს წასვლის შემდეგ ფარმაცევტები გვარიანად დასუსტდნენ. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი გააღწიეს, მაგრამ ბუნდესლიგაში კვლავაც ცხრილის ქვედა ნახევარში ტრიალებენ. მიუხედავად ამისა, კლაუს ტოპმიოლერი იმედიანადაა: „მე მსურს, რომ დღეს ჩემმა ბიჭებმა მეტოქეს ყოველი გოჯისთვის ნამდვილი ბრძოლა გაუმართონ. მჯერა, ისინი შეძლებენ გამარჯვებას, მით უმეტეს, „ბარსელონა“ წლეულს არც ისე ძლიერია.“

ლევერკუზენელებს იენს ნოვოტნი ვერ დაეხმარება ისევ და ისევ მუხლის ძველი ტრავმის გამო, ხოლო მეგოლე მცველ ჟუანს მუცელი აწუხებს, რის გამოც დასვენება მოუწევს.

კლაუს ტოპმიოლერმა ბრძანა, კარსტენ რამელო მგონი, გადაიღალაო და შესაძლოა, მის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში ბორის ჟივკოვიჩი გაამწესოს.

გერმანელი სპეციალისტი სამი კაცით შეტევას აპირებს. ამას წინათ კლუბზე განაწყენებული ბრდარიჩი ნოივილთან და ბიროფკასთან ერთად შეუტევს „ბარსელონას“ კარს.

ისიც გავიხსენოთ, რომ ეს გუნდები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს. ბარსელონაში მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს, ხოლო გერმანიაშიც იგივე ანგარიშით „ლევერკუზენმა“ მოიგო. საერთოდ კი მეტოქეების ოთხი ჯახიდან ორჯერ ფარმაცევტებმა იძალეს, ერთხელ კატალონიელებმა, ერთი მატჩიც ფრედ დასრულდა.

კლაუს ტოპმიოლერი მართალს ამბობს, როცა „ბარსელონას“ ამჟამინდელ ფორმას უწუნებს. ლუის ვან გაალის ნახაზებმა გუნდი ჯერ სათანადოდ ვერ დაქოქა. ეს ამბავი, ცხადია, პრიმერადივიზიონში თამაშს ეხება, თორემ ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე კატალონიელებმა ექვსივე თამაში რომ მოიგეს, ამის დავიწყება არ ეგების. ერთი სიტყვით, „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით წარმატებით თამაშობს, ვიდრე შინაურ ჩემპიონატში.

დღეს სტუმრებს ჰოლანდიელი მცველი ფრანკ დე ბური დააკლდებათ. ამიტომ დაცვის ცენტრში რაიციგერი პუიოლს შეეწყვილდება. რომან რიკელმემ კი ლუის ვან გაალს როგორც იქნა თავი მოაწონა და არგენტინელი სასტარტო შემადგენლობაში იქნება. მწვრთნელმა მას პატრიკ კლუივერტის პასით მომარაგება დაავალა.

ბოლო დროს ველარ ხვდება თერთმეტეულში ხავიერ სავიოლა, იგი სათადარიგოთა სკამზე მარკ ოვერმარსთან ერთად დაისვენებს.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჯერ სამი თამაშის წამგებმა და მერე ამდენივეს მომგებმა „ნიუკასლმა“ პატარა სასწაული გამოაცხო და მეორე ეტაპზე შეაბიჯა.

ამ უქმეებზე პრემიერლიგაში „მანჩესტერისგან“ ხუთი გოლის გაშვება თავისთავად დაცვის სისუსტეზე კი მიუთითებს, მაგრამ „ჯორდებს“ შეტევაც რომ კარგად ეხერხებათ, არახალია. მასპინძლებს უგო ვიანა და ნოლბერტო სოლანო დაუბრუნდებიან, ხოლო ფაბიენ ბარტეზის დამშამათებელი ოლივიე ბერნარი ჯერმენ ჯენასსთან ერთად დაისვენებს. მუხლს უჩიოდა უელსელი კრეიგ ბელამი, თუმც ექიმებმა თამაშზე დასტური მისცეს.

შინაური ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში ოდენ ქულის ამღებ „ინტერს“ არგენტინელი ერნან კრესპო დაუბრუნდა და კრისტიან ვიერისთან ერთად ნიუკასლელებს ალბათ ბევრ თავსატეხს გაუჩენს. ექტორ რაულ კუპერი ალვარო რეკობას დასვენებას უპირებს, ხოლო ლუიჯი დი ბიაჯოს ნაცვლად თურქ ემრეს გაამწესებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



დრო მიდის: აღარც რივალდოა ბარსელონელი და აღარც ბალაკი ლევერკუზენელი

## აბა, სხარტად!
## დასაკარგი არაფერია




მარკო დელვეკიოს კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი დაუბრუნდა

## B ჯგუფი

### რომა— არსენალი

საპარაუდო შემადგენლობები

| რომა | არსენალი |
|---|---|
| ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კანდელა, ლიმა, კაფუ, ემერსონი, ტოტი, დელვეკიო, მონტელა | სიმენი, ლორენი (ან ლუჟნი), კემპბელი, სიგანი, კოული, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ლიუნგბერგი, ანრი, ვილტორდი |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი) დისკვალიფიცირებულნი: რომა: არავინ; არსენალი: კოლო ტურე (1 მატჩი)

### ვალენსია — აიაქსი

საპარაუდო შემადგენლობები

| ვალენსია | აიაქსი |
|---|---|
| კანისარესი, კურრო ტორესი, პელეგრინო, მარჩენა, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ხუან სანჩესი, მისტა | დიდულიკა, ტრაბელსი, ბერგდოლმო, გალაშეკი, კოვუ, პიენაარი, ვან დერ ვაარტი, ლიტმანენი, ვან დერ მეიდე, მიდო, სიკორა |

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი) დისკვალიფიცირებულნი: ვალენსია: არავინ; აიაქსი: არავინ

**„რომა“** ის გუნდია, რომელიც ფრანჩესკო ტოტის გარეშე ფრიად საშუალოდ ჩანს, ტოტიანად კი ჩინებულად. ასე რომ, იტალიელებს უნდა უხაროდეთ: მუხლმა, რომელმაც რომაელთა ლიდერს ორი კვირა გამოატოვებინა, უკან დაიხია, ასე რომ, დღეს „არსენალთან“ შეხვედრაში იგი, წესითა და რიგით, მოედანზე უნდა იყოს.

თავდასხმაში გაბრიელ ბატისტუტას უფრო მოგვიანებით თუ ვიხილავთ, თავიდან კი, როგორც ამბობენ, იგი სათადარიგოთა სკამზე დაჯდება და იქიდან შეხედავს, როგორ თამაშობენ მისი მეგობრები, გამოკეთებული მარკო დელვეკიო და ვინჩენცო მონტელა.

„არსენალს“ კი ნვანკვო კანუ და დენის ბერხკამპი დააკლდება. ნიგერიელს მუხლი ტკივა, ხოლო ჰოლანდიელს, მოგეხსენებათ, თვითმფრინავში ჩაჯდომისა ეშინია. მაშ, ვინ შეუტევს მასპინძელთა კარს? ვინ და, ტიერი ანრი, რომელსაც მხარს ან შვედი ფრედი ლიუნგბერგი დაუმშვენებს ან ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი ფრენსის ჯეფერსი, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

ლონდონელებს არ ეყოლებათ სპილოს ძვლის ნაპირელი კოლო ტურეც. მან ორი კვირის წინ „ეინდჰოვენთან“ შეხვედრაში იყურუმსალა, წითელი ბარათი მიიღო და დასჯილია.

ამასობაში, „ვალენსია“ „აიაქსს“ კილი გონსალესის გარეშე დაუხვდება. არგენტინელმა კვირას, „ვალიადოლიდთან“ შეხვედრაში კოჭის მყესები ისე დაიზიანა, რომ ალბათ კარგა ხანს ველარ იბურთავებს — ამბობენ, ოპერაციას სამთვიანი შესვენება უნდა მოჰყვესო. მის გარდა, „ვალენსიას“ ექიმის კაბინეტში პაბლო აიმარი და ფრანსისკო რუფეტეც უსხედან.

ესპანელთა მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი, ამბობს, თავდასხმაში „ვალიადოლიდის“ კარში ორივე გოლის ავტორ მისტას ენდობაო.

და რას შვრება „აიაქსის“ მწვრთნელი რონალდ კუმანი? იგი ეტყობა, თავისი ბიჭების სისხარტით ჯერ მაინც უკმაყოფილოა. ვარჯიშზე იარი ლიტმანენი ნახევარდაცვაში ათამაშებია, თუმცა, მიმომხილველები ამბობენ, ფინელი ალბათ მაინც თავდასხმისკენ გაიწევა, რადგან მასპინძლებს თავიანთი მოფამფალებული ნახევარდაცვით, შეიძლება ამსტერდამელთა კონტრშეტევები გაეპაროთო.

კიდევ, ვიქტორ სიკორამ შეიტყო, რომ მისი მეორე ტრავმა პირველსავით საშიში არ ყოფილა და გუნდს ესპანეთში წაჰყვა.

რუმინელმა მცველმა კრისტიან კივუმ კი განაცხადა, ფავორიტი, რასაკვირველია, „ვალენსიაა“, მაგრამ ჩვენ, აბა, დასაკარგი რა გვაქვსო.

**ბაჩუნა ძიძია**

# საქმე და სიტყვა

## პრემიერლიგა, სერია A, პრიმერადივიზიონი უქმეების მერე




რუუდ ვან ნისტელროომ ბოლო 10 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა

## ინგლისი

— ეს ტური საიუბილეო გოლებით გამოირჩა. ნიუკასლელმა ალან შირერმა და ასტონვილელმა დიონ დაბლინმა მე-100 პრემიერლიგური გოლები გაიტანეს, ხოლო ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა („ჩელსი“) და რუუდ ვან ნისტელროიი („მანჩესტერი“) 50-ე შეაგდეს. და კიდევ: თითო-თითო გოლი და დენის ბერხკამპს 100 შეუსრულდება, კრეიგ ბელამის კი 50 გოლი.

— „ევერტონმა“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, ამაზე უკეთესი შედეგი (ზედიზედ შვიდი მოგება) გუდისონპარკელებს 1987 წელს ჰქონდათ, როცა მათ ბოლოს მოიპოვეს ინგლისის ჩემპიონობა.

— კარლო კუდიჩინიმ „ჩელსის“ კარი უმწიკვლოდ 513 წუთი შეინახა და 8 წუთის განმავლობაში რეკორდის მფლობელიც იყო, თუმც წლეულს გაცოცხლებულმა „ევერტონმა“ ეს მაჩვენებელი 532 წუთამდე გაზარდა, ეს კი რიჩარდ რაილის დამსახურებაა.

— ალან შირერს მივუბრუნდეთ. ის მესამე ფეხბურთელი გახდა ინგლისის ჩემპიონატში, რომელსაც ორ კლუბში ასი და მეტი გოლი გაუტანია. პირველ ადგილზეა სამოციანი წლების მეგოლე ჯიმი გრივზი, რომელსაც „ჩელსიში“ თამაშისას 124 გოლი შეუგდია, „ტოტენჰემში“ კი — 220. ხოლო კენი დალგლიშის ანგარიშზე „ლივერპულში“ 129-გოლია, „სელტიკში“ კი — 117. რაც შეეხება შირერს, „ნიუკასლში“ 100-ჯერ გაუხარია, „ბლექბერნში“ — 112-ჯერ.

— მარტო შაბათის მატჩებში გუნდებმა 31 გოლის გატანა მოახერხეს. (საშუალოდ მატჩში 3,875 გოლი) მაშინ, როცა მე-5 ტურში ამდენივე გოლი მთლიან ტურში გავიდა.

— ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ პრემიერლიგის ორივე ლიდერმა ერთ ტურში წყვილად წააგო.

— კლინტონ მორისონის 89-ე წუთზე „სანდერლენდისთვის“ გატანილმა გოლმა „ბირმინგემის“ უგოლო სერიას, რომელიც 376 წუთს გრძელდებოდა, წერტილი დაუსვა.

— „ჩელსის“ შავი სერია ბოლტონში 1983 წლიდან გრძელდება. აგერ, უკვე 19 წელია, „არისტოკრატები“ „რიბოკ სთედიუმზე“ გამარჯვებას ვერ ახერხებენ. ხოლო სელესტინ ბაბაიარო პირველი ფეხბურთელია, რომელიც ამ გუნდების მატჩების დროს გაუძევებიათ.

— „ფულემმა“ 1966 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა „ლივერპული“, ხოლო ალან გომა პირველი გაძევებული ფეხბურთელია მათი შეხვედრების ისტორიაში.

— ლივერპულელთა შავკანიანი მეგოლე ემილ ჰესკი „სპარტაკთან“ დუბლის შემდეგ 10 მატჩია, უგოლოდ ტოვებს მოედანს.

— ჩემპიონთა ლიგის ჩათვლით, რუუდ ვან ნისტელროიმ ბოლო 10 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა, ხოლო სანდერლენდელმა ჯეიმს ბიტიმ ბოლო 7 მატჩში რვა გოლი გაიტანა და ნახევარზე მეტი პენალტებით.

— უელსელმა ფეხმარდ რაიან გიგზს 1999 წლის 30 აგვისტოს შემდეგ პრემიერლიგაში „ოლდ ტრეფორდზე“ გოლი არ გაუტანია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამი წლისა და სამი თვის წინ მან სწორედ „ნიუკასლს“ გაუტანა, როცა მანჩესტერელებმა „კაჭკაჭები“ 5:0 გაანადგურეს. გიგზმა ამ ხნის განმავლობაში სტუმრად 38 გოლი გაიტანა.



აჰა, ალან შირერის მეასე პრემიერლიგური

## იტალია

— „ინტერს“ „მილანთან“ წაგებამდე ზედიზედ 22 ტურში ერთი გოლი მაინც გაჰქონდა. „შავ-ლურჯთა“ სერია დერბიში შეწყდა. ბოლო სამ მატჩში „ინტერნაციონალემ“ 1 ქულა აითვისა მაშინ, როცა მანამდე რვა შეხვედრაში 22 მოაგროვა.

— 8-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა „რომამ“. მას შემდეგ, რაც გუნდი ფაბიო კაპელომ ჩაიბარა, რომაელები სამბურთიანი სხვაობით არ დამარცხებულან. ამ ჩემპიონატის 11 ტურში „რომამ“ სამჯერ წააგო, მთლიანად შარშანდელ სეზონში კი ოდენ ორჯერ. 11 ტურში 19 გაშვებული გოლი რომაელთა უცუდესი შედეგია ბოლო 52 წლის განმავლობაში.

— „რომას“ კარში უკვე 7 თერთმეტმეტრიანი დანიშნეს. განვლილი სამი წლის განმავლობაშიც ზუსტად ამდენიმე პენალტი დაარტყეს დედაქალაქელთა კარში.

— წლეულს მხოლოდ „მილანმა“ და „ბოლონიამ“ შეძლეს ყველა საშინაო თამაშში გამარჯვება.

— სტუმრებმა ერთი მატჩიც ვერ მოიგეს. მსგავსი რამ ბოლოს 20 თვის წინ მოხდა.

— გასულ სეზონთან შედარებით, ამ დროისთვის „იუვენტუსმა“ 8, „ლაციომ“ 7, „მილანმა“ კი ექვსი ქულით მეტი მოაგროვეს, ხოლო „ბრეშამ“ რვით, „ტორინომ“ შვიდით და „ატალანტამ“ ექვსი ქულით ნაკლები.

— „ლაციომ“ თავისი წაუგებელი სერია (უეფას თასის ჩათვლით) 14-მდე, ხოლო „იუვენტუსმა“ 17-მდე აიყვანა (ჩემპიონთა ლიგის გამოკლებით).

— მიმდინარე ჩემპიონატში თერთმეტმეტრიანები არ დაუნიშნავთ მხოლოდ „მილანისა“ და „ლაციოს“ კარში. ამასთან, თვითონ მილანელებმა რვა პენალტი შეასრულეს.

## ესპანეთი

— „მალიორკას“ 7-მატჩიანი მოგებათა სერია „ვილიარეალმა“ შეუწყვიტა. კუნძულელებმა ვერ იმარჯვეს და ცხრილში გაპირველების შანსი ხელიდან გაუშვეს. ბოლოს მეორე ადგილზე „მალიორკა“ ჯერ კიდევ ექტორ რაულ კუპერის დროს, 1998-99 წლებში იყო.

— „ვილიარეალის“ არგენტინელმა ფორვარდმა მარტინ პალერომ 7 თვეში პირველად გაიტანა, მისმა გუნდმა კი ბოლოს სტუმრად, შარშან სექტემბერში, სწორედ პალერმოს გოლით და სწორედ „მალიორკა“ დაამარცხა.

— პრიმერადივიზიონის ახალბედამ — „უელვამ“ პირველი საშინაო გამარჯვება იზეიმა.

— „ვალენსიას“ არგენტინელმა კილი გონსალესმა „ვალიადოლიდთან“ მატჩის 90-ე წუთზე შეჯახებისას კოჭი მოიტეხა, მყესებიც დაიზიანა და სამთვიანი შვებულება აიღო.

— მადრიდის „ატლეტიკომ“ 1990-91 წლების სეზონიდან მოყოლებული პირველი პრიმერადივიზიონური საშინაო შეხვედრა მოუგო „ბეტისს“.

თავისი საიუბილეო, რიგით მეასე მატჩი „უელვას“ მწვრთნელ ლუის ალკასარისთვის კინაღამ სამედისწერო აღმოჩნდა. მარცხის შემთხვევაში მას პოსტიდან დაითხოვდნენ. მწვრთნელი შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა რაულ მოლინამ გადაარჩინა. ამ დღეს მოლინას 26 წელი შეუსრულდა [illegible] გამარჯვების ორი გოლით [illegible]

— ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ შეხვედრის 45-ე წუთზე მსაჯმა პუენტეს ლეირამ სტუმართა მწვრთნელი რამონ მოია გააძევა.

— ხოსება ეჩებერიამ ბილბაოელთა შემადგენლობაში 250-ე მატჩი გამართა. ამასთანავე გუნდში იგი ლიდერია მათ შორის, ვისზეც საპენალტედ დაჯარიმდნენ. ასეთი ეჩებერიას უკვე 15 დაუგროვდა.

— „ესპანიოლი“ ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა.

***რეალელები „ბარსელონასთან“ მატჩზე***

**ფრანსისკო პავონი**: შეიძლებოდა, მატჩი უკეთესი ყოფილიყო. ჩვენ ძალები არ დაგვიზოგავს მოსაგებად. გულშემატკივართა საქციელი ამაზრზენი გახლდათ, მაგრამ ყველას ერთ ქვაბში ნუ მოვხარშავთ. რა მოიმკეს ბოთლების სროლით? მხოლოდ საკუთარი კლუბი აზარალეს. ფიგუმ ბრწყინვალედ ითამაშა, ვერ დავიწუწუნებ იმის გამო, რომ ოდენ ფრეს დავჯერდით. ეს ქულაც მნიშვნელოვანია, თუმცა აშკარაა — გუნდს ძალიან აკლდა ფერნანდო იერო.

**იკერ კასილიასი**: ეს საშინელება იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ხალხს ფეხბურთი სულ არ აინტერესებდა. ვილაც გიჟები ათასგვარ საგანს ისროდნენ, რომლითაც შესაძლებელია, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა. მართალია, მფრინავი დანები არ მინახავს, მაგრამ ბილიარდის, გოლფის ბურთებს და მობილურ ტელეფონებს ნამდვილად ისროდნენ.



# ვან გაალის უკანალი ლუიშ ფიგუ ნამატჩევს

**— რატომ არ შეეშვით კუთხურების შესრულებას?**

— იმ მომენტში მხოლოდ ჩემს საქმეზე ვფიქრობდი. კუთხურების ჩაწოდება მე მევალებოდა, რასაც პირნათლად ვასრულებდი.

**— „კამპ ნოუზე“ ტაშით რომ რა დაგხვდებოდათ, იცოდით, მაგრამ მოვლენების ასეთ განვითარებას თუ ელოდით?**

— ბარსელონაში ფეხბურთის სათამაშოდ ჩავედი, ნამატჩევს კი, სამწუხაროდ, სხვა თემაზე საუბარი მიწევს. ეს უმსგავსობა უნდა დასრულდეს, რადგან ტრიბუნებზე ალვირახსნილობა ფეხბურთს სულაც არ ალამაზებს. იმედი მაქვს, რომ საშინელი დახვედრა მადრიდის „რეალს“ კი არა, მხოლოდ მე მომიწყვეს. გასაგებია, თამაში გრძნობებს ბადებს, მაგრამ გრძნობის გამოხატვა კაცურადაც შეიძლება.

**— ხავის თქმით, მომხდარის აცილება შეიძლებოდა, თუ კუთხურებს სხვა შეასრულებდა...**

— უკან დახევას არ ვაპირებ იმის გამო, რომ ეს ხავის ან ხუან გასპარს სურს. ჩემთვის მთავარი ვისენტე დელ ბოსკეს დავალებაა.

**— გულშემატკივრების პროვოცირებაში ვან გაალმაც დაგადანაშაულათ...**

— გავოცდი, როცა მან მომხდარი მე დამაბრალა. ორი წლის განმავლობაში ჩემზე სიტყვა არსად უთქვამს, ახლა კი თავის უკანალის გადასარჩენად ლუიშ ფიგუს მისდგა. თუ ფანების კეთილგანწყობის მოპოვება სურს, თამაშები უნდა მოიგოს და სხვა მიზეზების ძებნას თავი დაანებოს.

**— მომავალ წელს ისევ მოგიწევთ ბარსელონაში დაბრუნება...**

— მომიწევს და დავბრუნდები კიდეც. „კამპ ნოუზე“ ბრწყინვალე მინდორია ფეხბურთის სათამაშოდ, თუმცა ვიმედოვნებ, წესრიგის დამცველები მეტი პროფესიონალიზმით მიუდგებიან თავიანთ საქმეს, რადგან რისკი კეთილშობილური, მაგრამ სახიფათო რამაა.



ლუის მედინა კანტალეხომ ბოთლები დაითვალა და თამაშში შეწყვიტა

# თავი, რა თავი

## ბოიქსოს ნოის ჭკვიანად ისხდნენ

**შემწვარი** გოჭის თავს რაღა უნდოდა? კვილი, ბოთლი გასაგებია, სხვა ათასი ნივთიც გასაგებია, მაგრამ გოჭი? არადა, ფაქტია: გასულ შაბათს, ბარსელონას „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა „რეალის“ მოძულე საზოგადოებამ მოედანზე უამრავ საგანთან ერთად გოჭის შემწვარი თავიც სტყორცნა და თუ პატივცემული მკითხველი, ამ სტრიქონებს მოშიებული კითხულობთ, დიდი ბოდიში მოგვითხოვია.

სხვათა შორის, ყველაფერი ეს, ძალიან ზუსტად აღწერა შეხვედრის მსაჯმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში მიტანილ ანგარიშში და, ვინ იცის, მთელი ფედერაცია ალგილობრივი სასადილოს გზას დაუყენა. ხოლო სასადილოდან დაბრუნებული მოხელენი, ანგარიშის შემდგომი კითხვისას უთუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ტრიბუნიდან გადმოყრილ რაღაცეებს არც ერთი ფეხბურთელი არ დაუზიანებია.

რაც „კამპ ნოუზე“ მოხდა, მოგეხსენებათ, ეს იყო ტრადიციული, მწვავე დაპირისპირება „ბარსელონასა“ და „რეალს“ შორის, რომელიც, დამატებით იმან გაამძაფრა, რომ „რეალის“ ფეხბურთელთა შორის ყოფილი ბარსელონელი ლუიშ ფიგუც იყო. იმ დღეს, „მოღალატე“ მეორედ გავიდა „საზიზღარი გუნდის“ მაისურით თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და ფრიად გამომწვევადაც მოიქცა. თუმცა იმას, რაც ფიგუმ გააკეთა, ზოგმა შეიძლება თავხედობა დაარქვას, ზოგმა კი პრინციპულობა — ვინ ვისკენ არის, იმის მიხედვით. ჩადენით კი პორტუგალიელმა ის ჩაიდინა, რომ კუთხურის ჩასაწოდებლად მისულს, ტრიბუნიდან ნასროლი საგნების არ შეეშინდა და გაჯიქდა, ამათ ჯინაზე, მოვკვდები და ბურთს მაინცდამაინც მე ჩავაწოდებო. იმდენი ქნა, თავისი გაიტანა, ბურთიც ოსტატურად დააბზრიალა, ხოლო როდესაც ამ კუთხურმა ახალი კუთხური მოიტანა — ახლა იქითა მხრიდან — თავი დაადო და მეორე ფრთისკენ გაეშურა, იქიდანაც მე უნდა ჩავაწოდოო. იმ კარის უკან კი „კამპ ნოუზე“ „ბოიქსოს ნოის“ სხედან, რაც ტკბილქართულად გიჟ ბიჭებს ნიშნავს და გიჟები ტყუილად არ ჰქვიათ. ერთი სიტყვით, მსაჯს, ლუის მედინა კანტალეხოს, თამაშის დროებით შეწყვეტა მოუხდა.

შეხვედრის შემდეგ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ყველაფერი ფიგუს დააბრალა, ჩვენი გიჟი ბიჭები ჭკვიანურად ისხდნენ, ფიგუ კი მივიდა და გააღიზიანაო. ეს, ცხადია, არავინ დაიჯერა. მეტიც, აქა-იქ „კამპ ნოუს“ შესაძლო დისკვალიფიკაციაზეც ალაპარაკდნენ, რის შემდეგაც „ბარსელონას“ წარმომადგენლებმა საზოგადოდ საფეხბურთო ხულიგნობის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა. კლუბის დირექტორმა, ხოსე მარია კორონასმა განაცხადა, რომ ბარსელონელები იმ დღევანდელის მსგავს ინციდენტებს გმობენ და ამასთან, „კამპ ნოუს“ დისკვალიფიკაციის მიზეზს ვერ ხედავენ. კორონასის განცხადებით, მათ სტადიონზე უსაფრთხოების საკითხები ჩინებულადაა მოგვარებული, ხოლო ამის დასტური ის არის, რომ იმ საღამოს ფეხბურთელთაგან არავინ დაშავებულა.

აღსანიშნავია, რომ ეს აყალმაყალი ბოლო სამ წელიწადში მესამე იყო. კერძოდ, 2000 წლის ოქტომბერში, როდესაც ფიგუ „ბარსადან“ „რეალში“ გადავიდა, თეთრი მაისურა ჩაიცვა და „კამპ ნოუს“ ასე გამოეცხადა, გიჟმა ბიჭებმა დაახლოებით შაბათისნაირად გაიგიჟეს თავი. მაშინ პორტუგალიელს კუთხურების ჩაწოდება არ დაუჩემებია, მაგრამ როგორც კი აუტის ან კუთხურის ხაზს უახლოვდებოდა, სულ მცირე, მობილური ტელეფონი ეზღერთებოდა მის ახლომახლო. ეს აყალმაყალი „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას მხოლოდ 9 ათასი დოლარი დაუჯდა.

მომდევნო წლის მარტში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ანუ მადრიდში, კატალონიური გუნდის მეკარე, ხოსე მანუელ რეინა, ბურთის ასაღებად კარს უკან რომ მივიდა, მავანმა ქომაგმა მუჯლუგუნი უთავაზა. მოგვიანებით ქომაგმა ბოდიში მოიხადა და წლიური აბონემენტი თავდახრილმა ჩააბარა ვისაც ჯერ არს, ზედაც „რეალმა“ 3 ათასი დოლარი გადაიხადა, მაგრამ ინციდენტი ხომ ინციდენტია...

ახლა კი...

ისე, ნეტა, იმ გოჭის თავს რა ბედი ეწია?

**ბაჩუნა ძიძია**

# დომინისინის თერთმეტი



ეუჯენიო ფაშეტი

**„კომო“** იტალიის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე რომ არის და ერთი რაა, ის ერთი გამარჯვებაც ვერ მოუპოვებია, კლუბის ხელმძღვანელობის რწმენით მწვრთნელის, ლორის დომინისინის ბრალი იყო — მის ნაცვლად სამუშაოდ „ბარის“ და „ლაციოს“ ყოფილი თავკაცი, ეუჯენიო ფაშეტი მიიწვიეს. თუ კომოელთა საინტერნეტო ვებ-გვერდში შევიხედავთ, ფაშეტისთან გაფორმებული კონტრაქტის დეტალებს ვერ ვნახავთ, სამაგიეროდ წავიკითხავთ პრეზიდენტის, ენრიკო პრეციოზის სინანულით აღსავსე სიტყვებს:

„გულწრფელად ვამბობ, მწვრთნელის შეცვლა ყველაზე მეტად არ მინდოდა. როდესაც ვაცხადებდი, დომინისინისთან თანამშრომლობა სეზონის ბოლომდე მინდა-მეთქი, სრულიად გულწრფელი ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, უალტერნატივო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ფაშეტიზე კი არჩევანი იმიტომ შევაჩერეთ, რომ იგი გამოცდილია, ჩვენ კი, სწორედ, გამოცდილი სპეციალისტი გვჭირდება.“

ერთი მხრივ, მავანმა შეიძლება იფიქროს, „კომოს“ რაღა პრეტენზია გაუჩნდა, სერია A-ში წააგებდა, აბა, რა მოუვიდოდაო, მაგრამ მოდით, საკითხს მეორე მხრიდან მოვუაროთ: „კომო“ ის გუნდია, რომელმაც სერია C1-დან უმაღლეს ლიგამდე გზა ერთი ამოსუნთქვით, გაჩერების გარეშე გაიარა და, ბუნებრივია, გამარჯვებებს მიჩვეული, 11 ტურში მხოლოდ ოთხ ფრეს არ ელოდა.

რაც შეეხება ფაშეტის, იგი 64 წლისაა, ბოლოს სერია B-ში „ვიჩენცას“ თავკაცობდა, მაგრამ იქ მხოლოდ 18 მატჩი აცადეს. შემდეგ ივნისში, თითქოს „ფიორენტინასთან“ გააფორმა კონტრაქტი, ოღონდ ფლორენციული კლუბის გაკოტრებამ გეგმები ჩაუშალა და უმუშევრად დარჩა.

**ბაჩუნა ძიძია**

## ინგლისი

### I დივიზიონი. XX ტური

**დერბი ქაუნთი 3:2 უიმბლდონი**

0:1 შიპერლი (8), 1:1 ელიოტი (17), 2:1 დ. ბარტონი (48), 3:1 მორისი (80), 3:2 კონოლი (88)

დერბი ქაუნთი: გრანტი, ევანსი (მიგინბოთემი 46), ელიოტი, რიგოტი, უ. ბარტონი, ლი, ბარლი (ბოლდერი 68), ბოერტიენი, კრისტი (ლ. მორისი 76), დ. ბარტონი, მაკლეოდი

ზიორზი ქინქლაძე სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

25 597 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:18 | 48 |
| ლესტერი | 19 | 12 | 5 | 2 | 31:17 | 41 |
| ნორვიჩი | 20 | 10 | 6 | 4 | 33:17 | 36 |
| ნოტინგემი | 19 | 9 | 6 | 4 | 33:17 | 33 |
| ვულვზი | 19 | 9 | 5 | 5 | 38:21 | 32 |
| შეფილდი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:23 | 32 |
| რედინგი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:14 | 32 |
| უოტფორდი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:28 | 31 |
| ბარნსლი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:32 | 29 |
| როტერჰემი | 20 | 7 | 6 | 7 | 32:25 | 27 |
| კრ. პალასი | 19 | 6 | 9 | 4 | 30:23 | 27 |
| დერბი | 20 | 8 | 3 | 9 | 24:27 | 27 |
| ქოვენთრი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:27 | 27 |
| მილუოლი | 20 | 7 | 5 | 8 | 22:30 | 26 |
| უიმბლდონი | 20 | 7 | 4 | 9 | 30:33 | 25 |
| ჯილინგემი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:27 | 24 |
| იფსვიჩი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| პრესტონი | 19 | 4 | 10 | 5 | 30:32 | 22 |
| უოლსოლი | 20 | 6 | 4 | 10 | 29:34 | 22 |
| ბრედფორდი | 20 | 4 | 7 | 9 | 21:37 | 19 |
| გრიმსბი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:39 | 17 |
| სტოკი | 20 | 3 | 5 | 12 | 20:37 | 14 |
| უენსდი | 20 | 2 | 7 | 11 | 16:32 | 13 |
| ბრაიტონი | 18 | 3 | 3 | 12 | 18:35 | 12 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XIV ტური

**კიოლნი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 შერცი (17)

კიოლნი: ბადე, სიხონე, სინკალა, შაპე, კუელმანი, კრინგე, ლოტნერი, ვოიგტი, კრომიცი, შერცი, კურტი

არჩილ არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

ფრაიბურგი: გოლცი, რიტერი, კონდე, ბ. დიარა (რამდანე 46), ბერნერი (ა. ცაიერი 67), ცხადიშვილი, ბაირამოვიჩი, მიულერი, კობიაშვილი, კულიბალი (მენერი 76), ტანკო

ალექსანდრე იაშვილი ტრავმირებულია, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდში არიან

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

28 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 14 | 8 | 6 | 0 | 30:15 | 30 |
| აინტრახტი | 14 | 8 | 3 | 3 | 25:12 | 27 |
| ფრაიბურგი | 14 | 8 | 2 | 4 | 20:12 | 26 |
| ტრირი | 14 | 7 | 2 | 5 | 24:17 | 23 |
| ლიუბეკი | 14 | 7 | 1 | 6 | 26:20 | 22 |
| ალემანია | 14 | 6 | 4 | 4 | 23:19 | 22 |
| ობერჰაუზენი | 14 | 6 | 4 | 4 | 16:15 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 5 | 6 | 3 | 23:15 | 21 |
| მაინცი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 21 |
| ფიურტი | 14 | 5 | 6 | 3 | 20:15 | 21 |
| დუისბურგი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:17 | 21 |
| როიტლინგენი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:21 | 21 |
| უნიონი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:28 | 15 |
| ალენი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:22 | 13 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 13:22 | 12 |
| ზტ. პაული | 14 | 2 | 3 | 9 | 20:34 | 9 |
| ბრაუნშვაიგი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:31 | 9 |
| ვალდჰოფი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:33 | 8 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „ბარსელონას“ კაპიტანი ლუის ენრიკე მოედანს სავარაუდოდ თებერვალში დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მან ოქტომბერში, „ვალიადოლიდთან“ მატჩისას აქილევსის მყესი დაიზიანა და თუმც შემდეგ „ალავესის“ გაბდლენაში წილი დაიდო, მაგრამ მხოლოდ პირველ ტაიმში, რადგან მას ტრავმა გაუმიზეზდა. კატალონიური კლუბის ექიმ რიკარდო არუნას ბოლო განცხადებით, ლუის ენრიკეს ხანგრძლივი დასვენება მოუწევს, რადგან დროზე ადრე დაბრუნებას შეიძლება, სავალალო შედეგი მოჰყვეს. „ვალიადოლიდთან“ ტრავმის შემდეგ ჩვენ ვიჩქარეთ და „ალავესთან“ კვლავ ვათამაშეთ, რამაც ტრავმის რეციდივი გამოიწვია. ასე რომ, ახლა აუჩქარებლად ვუმკურნალებთ“ — თქვა არუნამ. ლუის ენრიკეს დაბრუნება სავარაუდოდ „ინტერთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩისას მოხდება.

**გერმანელი** მეკარე ბოდო ილგნერი შესაძლოა აქტიურ სპორტს დაუბრუნდეს. იგი 2001 წლის შემდეგ, რაც „რეალთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, უსაქმოდაა, აი, ახლა კი 35 წლის ფეხბურთელს კვლავ ესპანეთიდან, ლა კორუნიიდან შეეხმიანენ. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს „დეპორტივო“ მას შემდეგ ეკურკურება, რაც მისი ძირითადი მეკარე ფრანსისკო მოლინა იძულებული შეიქნა, კარიერა დროებით შეეწყვიტა. გალისიელთა პრეზიდენტი აუგუსტო სესარ ლენდოირო კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

**ბულგარული** ცსკა უეფასგან დიდ სასჯელს ელოდა, რადგან უეფას თასზე „ბლექბერნთან“ მატჩში, რომელიც სოფიაში გაიმართა, ბულგარელმა ქომაგებმა ინგლისელთა შავკანიანი ფორვარდი ენდი კოული რასისტული გამონათქვამებით შეამკეს. თუმც უეფამ რატომღაც ეს ფაქტი არაფრად ჩააგდო და ცსკა-ც გადარჩა, თუმც ფეხბურთელ ველიჩარ დიმიტროვის სპორტული აფერისტობისთვის კლუბი 35 ათას ევროს ჩამოვა, ხოლო თავად ფეხბურთელი ორი მატჩით მოიკვეთა.

**არგენტინელმა** ხავიერ სავიოლამ „ადიდასთან“ პირადი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური მხარეც არ ხმაურდება. სავიოლამ PREDATOR MANIA-ს ბუცები უკვე იაპონიასთან ამხანაგურ მატჩში დაატესტა. აღსანიშნავია, რომ „ადიდასთან“ კონტრაქტი ისეთ ფეხბურთელებს აქვთ გაფორმებული, როგორებიც არიან: დევიდ ბექემი, ზინედინ ზიდანი, რაული, პაბლო აიმარი, ხავი და დანი გარსია.

**რუსეთის** პრემიერლიგიდან გავარდნას გადარჩენილმა ოსურმა „ალანიამ“ კლუბის კონსულტანტ ბორის იგნატიევს წინადადებით მიმართა გუნდს მომდევნო სეზონში უთავკაცოს. მისი პასუხი კი ასეთია: ჯერ კლუბს უნდა ჰქონდეს ფინანსური სიმტკიცე, ასევე „ალანიამ“ ბაზისა და სტადიონის რეკონსტრუქციაც უნდა დაიწყოს, ფეხბურთელებს სერიოზული ხელფასები უნდა დაუნიშნოს, რომ ისინი სხვა კლუბების წინადადებებმა აღარ მოხიბლოს, მერე კი ვილაპარაკოთო.

## იტალია

### სერია B. XIII ტური

**ჯენოა 2:2 ვერონა**

1:0 კარპარელი (10), 1:1 კახეტი (19), 1:2 ბიზანუ (31), 2:2 მბადბი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 12 | 6 | 5 | 1 | 16:9 | 23 |
| სიენა | 12 | 5 | 6 | 1 | 12:8 | 21 |
| ტრიესტინა | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| ლეჩე | 12 | 4 | 7 | 1 | 14:10 | 19 |
| ტერნანა | 12 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 19 |
| კალიარი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:10 | 19 |
| პალერმო | 12 | 6 | 1 | 5 | 15:17 | 19 |
| ანკონა | 12 | 4 | 6 | 2 | 16:12 | 18 |
| ლივორნო | 12 | 6 | 0 | 6 | 13:10 | 18 |
| ასკოლი | 12 | 4 | 4 | 4 | 8:9 | 16 |
| ვენეცია | 12 | 4 | 3 | 5 | 12:14 | 15 |
| ბარი | 12 | 2 | 8 | 2 | 11:9 | 14 |
| ვერონა | 12 | 3 | 5 | 4 | 15:14 | 14 |
| ვიჩენცა | 12 | 3 | 5 | 4 | 16:20 | 14 |
| ჯენოა | 12 | 3 | 4 | 5 | 13:13 | 13 |
| მესინა | 11 | 3 | 3 | 5 | 14:16 | 12 |
| კატანია | 12 | 3 | 3 | 6 | 15:22 | 12 |
| ნაპოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 15:19 | 11 |
| კოზენცა | 12 | 3 | 2 | 7 | 9:14 | 11 |
| სალერნიტანა | 12 | 3 | 1 | 8 | 11:19 | 10 |

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus ხვესი
- კიი 47 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თარო ბურთებისთვის 47 GEL
- მაგიდის კიისათვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.20 GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, ზედამხედველობა
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 3 16 08;
Fax: 94 33 80



ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი. ლუკას პუსინერის გოლი „ინდეპენდიენტესთვის“ ეგებ საჩემპიონოც გამოდგეს

# ნახევარი ნაბიჯი

## არგენტინა

### აპერტურა

**მე-18 ტური:** ტალიერესი — სან ლორენსო 1:1; ესტუდიანტესი —ველესი 1:2; არსენალი — ლანუსი 2:2; ჩაკარიტა — რასინგი 0:3; როსარიო — ბანფილდი 1:0; ნუევა ჩიკაგო — უნიონი 2:2; ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი 1:1; ურაკანი — ხიმნასია 0:0; რივერ პლეიტი — ოლიმპო 2:1; კოლონი — ოლდ ბოიზი 3:1

**ფლევანდელი** აპერტურას მთავარი თამაში, ლიდერ „ინდეპენდიენტესა“ და მის მადევარ „ბოკა ხუნიორსს“ შორის ფრედ, 1:1 დასრულდა. გუნდებს შორის კვლავ დარჩა სამქულიანი სხვაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურში „ინდეპენდიენტეს“ ქულაც ჰყოფნის, რომ რვა წლის თავზე კვლავაც მოიპოვოს ჩემპიონობა.

„ბოკამ“ თავი დადო ამ თამაშში და იგებდა კიდეც, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერს ბოლო ტურში მოპოვებული გამარჯვება გადაწყვეტდა: გარემარბმა გილერმო ბაროშ შელოტომ 38-ე წუთზე გახსნა ანგარიში, „ინდეპენდიენტემ“ კი, რომელსაც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ამერიგო გალიეგო წვრთნის, მაინც გაათანაბრა, ლუკას პუსინერის მეოხებით.

ეს იყო ძალიან დაძაბული და მძიმე თამაში. 60 ათას მაყურებელს შორის სტუმრად მისული „ბოკას“ 12 ათასი ქომაგიც იყო, რომელთა დასაშოშმინებლადაც პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გაუშვა. ბოკელები ნაირგვარ საგნებს ისროდნენ მოედანზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მავანი მასპინძელი ქომაგი მოედანზე გადაეშვა და სტუმართა მწვრთნელს, ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესს გაარტყა.

ბოლო ტურში „ინდეპენდიენტე“ „სან ლორენსოს“ სტუმრობს, „ბოკა“ კი „როსარიო სენტრალს“ მასპინძლობს. „სან ლორენსო“ ახლახან გავიდა კოპა სუდამერიკანას ფინალში და რახან ფინალი იქით კვირაში აქვს, ბოლო ტურში ეგებ სათადარიგოები გაიყვანოს. ასე რომ, „ინდეპენდიენტე“ აპერტურას მოგებასთან მეტად ახლოა. ისიც გასახსენებელია, რომ წლევანდელ კლაუსურაში „ინდეპენდიენტე“ ბოლო ადგილზე გავიდა.

### ონორიო ბუსტოს დომბეკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 18 | 12 | 4 | 2 | 45:19 | 40 |
| ბოკა ხუნიორსი | 18 | 11 | 4 | 3 | 29:14 | 37 |
| რივერ პლეიტი | 18 | 10 | 3 | 5 | 31:22 | 33 |
| ჩაკარიტა | 18 | 9 | 2 | 7 | 19:21 | 29 |
| რასინგი | 18 | 8 | 4 | 6 | 27:24 | 28 |
| კოლონი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:25 | 28 |
| სან ლორენსო | 18 | 7 | 6 | 5 | 28:22 | 27 |
| არსენალი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:23 | 26 |
| ოლდ ბოიზი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:22 | 26 |
| როსარიო | 18 | 7 | 4 | 7 | 35:36 | 25 |
| ველესი | 18 | 7 | 4 | 7 | 22:19 | 25 |
| ლანუსი | 18 | 6 | 7 | 5 | 19:22 | 25 |
| ბანფილდი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:17 | 22 |
| ტალიერესი | 18 | 5 | 7 | 6 | 21:25 | 22 |
| უნიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:28 | 20 |
| ხიმნასია | 18 | 4 | 7 | 7 | 16:22 | 19 |
| ოლიმპო | 18 | 4 | 5 | 9 | 18:30 | 17 |
| ესტუდიანტესი | 17 | 4 | 3 | 10 | 21:30 | 15 |
| ნუევა ჩიკაგო | 17 | 2 | 6 | 9 | 18:27 | 12 |
| ურაკანი | 18 | 2 | 5 | 11 | 17:40 | 11 |

# ვალდერამა გაქვავდა



**გონებაში** თვალს თუ გადაავლებთ კოლორიტულ ფეხბურთელებს, უთუოდ კოლუმბიელი კარლოს ვალდერამაც გაგახსენდებათ. ვალდერამა ყოველთვის იქცევდა ყურადღებას თავისი თამაშითაც და ორიგინალური ვარცხნილობითაც.

ვალდერამას საფეხბურთო კარიერა შთამბეჭდავად გამოიყურება. იგი ორჯერ, 1987 და 1993 წლებში, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, 1990, 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე კოლუმბიელი თავისი ქვეყნის ნაკრებს კაპიტნობდა, საკლუბო დონეზე კი კოლუმბიურ „უნიონ მაგდალენას“, „დეპორტივო კალის“, „მედელინის“, „ატლეტიკო ჟუნიორის“, ფრანგული „მონპელიეს“ და ესპანური „ვალიადოლიდის“ შემადგენლობაში თამაშობდა.

ვალდერამა გამორჩეული ფეხბურთელი კი იყო, თუმცა ბევრის აზრით, მან ბოლომდე ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. ამ საკითხზე კამათი შეიძლება, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი კოლუმბიელის ოსტატობის გარჩევა არ არის.

ამ დღეებში კოლუმბიაში, ვალდერამას მშობლიურ ქალაქ სანტა მარტაში, „ედუარდო სანტოსის“ სტადიონის წინ, ვალდერამას ძეგლი გაიხსნა, ექვსი მეტრი სიმაღლისა და შვიდი ტონა სიმძიმის ფიგურა კოლუმბიელი ამილკარ არისას შემოქმედებაა, რომლის ღირებულება 130 ათასი დოლარია. მოქანდაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ძეგლი ასახავს კოლუმბიელი ხალხის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ვალდერამას მიმართ, რომელსაც ისინი საუკეთესო სამხრეთამერიკელ ფეხბურთელად თვლიან.

ძეგლის, ცხადია, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. სტადიონის წინ 14 ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. თავად კარლოს ვალდერამაც ესწრებოდა ძეგლის გახსნას და აღტაცებული დარჩა. მან მხოლოდ ერთი წინადადება წარმოთქვა: „ის მე ძალიან მგავს.“

ვალდერამა ამჟამად შეერთებული შტატების მეიჯორ ლიგაში გამოდის. 40 წლის ნახევარმცველს გადაწყვეტილი აქვს, გაისად მშობლიურ „უნიონ მაგდალენაში“ დაასრულოს კარიერა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# რომარიომ გამოიღვიძა, პიტბულმა დაიძინა

## ბრაზილია

### პლეი ოფი

### 1/4 ფინალი. 1 მატჩები

სანტოსი — სან პაულუ 3:1; ატლეტიკო მინეირო — კორინთიანსი 2:6; ფლუმინენსე — სან კაეტანო 3:0; გრემიო — ჟუვენტუდე 0:0

საპასუხო მატჩები გაიმართება 27-28 ნოემბერს

**გახურდა** ბრაზილიური პლეი ოფი: ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდმა უკვე გამართა საჩემპიონო მეოთხედფინალის პირველი მატჩები, რომლებსაც დღეს და ხვალ უკვე საპასუხო თამაშები მოჰყვება.

ჩემპიონატის პირველადგილოსანი და უპირველესი ფავორიტი, „სან პაულუ“, რომელმაც 25 მატჩში 57 გოლი გაიტანა, „სანტოსს“ ესტუმრა.

„სანტოსი“ სეზონის აღმოჩენადაა მიჩნეული ბრაზილიაში, ვითარცა, ახალგაზრდა ტალანტებით დახუნძლული გუნდი, თუმცა, მის თამაშს სტაბილურობა აკლია და დიდადაა დამოკიდებული მოთამაშეთა განწყობაზე.

ამ ჯერზე „სანტოსმა“ ივარგა და 3:1 მოუგო შეჯიბრის ფავორიტს. ალბერტომ 30-ე წუთზე დააწინაურა მასპინძლები მაგრამ კაკამ ტაიმის ბოლოსვე გაქვითა თავისი ცაციათი, ისე რომ ხარიხის ქვეშ შეაჭედა ბურთი.

მეორე ტაიმში სანტოსელ თინეიჯერთა ჯერი დადგა და 18 წლის რობინიომ სეზონში თავისი მერვე გოლი შეაგდო. ამას მალევე მოჰყვა 17 წლის დიეგუს ლამაზი დარტყმული: ბიჭმა თავზე გადაუგდო სტუმართა მეკარე როჟერიუ სენის. ეს იყო დიეგუს მეცხრე გოლი სეზონში.

მაგარი თამაშობა გახურდა ბელუ ორიზონტეს „მინეიროს“ სტადიონზე, სადაც იქაური „ატლეტიკო“ კარლოს ალბერტო პარეირას „კორინთიანსს“ შეხვდა. სტუმრები 2:0-ს იგებდნენ პირველ ტაიმში, თუმცა ტაიმის ბოლო ხუთ წუთში მანსინიმ და მიშელმა თითო გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს.

უცნაური იყო მეორე ტაიმი, რომელშიაც სტუმრებმა სწრაფად გაიტანეს ორი გოლი, თამაშის მიწურულს კი კიდევ ორი მიაყოლეს და ჯამში 6:2 მოიგეს. ამ ექვსიდან ოთხი დევიდმა გაიტანა.

„ფლუმინენსემ“ კი ჩანს, სირთულეები უკან მოიტოვა და 3:0 გადაუარა კოპა ლიბერტადორესის ფინალისტ „სან კაეტანოს“. „ფლუს“ ჭირვეული ვარსკვლავი რომარიო მთელი კვირა ცალკე ვარჯიშობდა და თურმე არცთუ ტყუილად. „ის გიჟივით ვარჯიშობდა და ნახეთ რაც მოახერხა“ — ამბობდა თამაშის შემდეგ „ფლუს“ გახარებული მწვრთნელი რენატო პორტალუპი. სამივე გოლი რომარიომ მოამზადა: ჯერ მაგნუ ალვეშს გაატანინა ბრწყინვალე პასით, მერე რონი დატოვა კარის წინ, მერე კი ისევ მაგნუ ალვეშმა დაამატა მის დარტყმულს, რომელიც მეკარემ მოიგერია.

გოლები არ გასულა ორი სამხრეთბრაზილიური გუნდის თამაშში, „ჟუვენტუდემ“ ვერც გაიტანა და არც გაუშვა პორტუ ალეგრიში, „გრემიოსთან“ მატჩში. „ჟუვენტუდეს“ მწვრთნელმა რიკარდუმ მოედანზე არ გაიყვანა „გრემიოდან“ ნათხოვარი თავდამსხმელი კლაუდიუ პიტბული, რომელმაც თქვა, ყოფილ თანაგუნდელებს რომც გავუტანო, არ გამეხარდებაო.

**ლეოგეჟელდო „პაპ“ ძოიძერა**



რომარიო ხანდახან ახლაც ძველრომარიოულად თამაშობს



# ძმა

*ჩვენი არ იყოს, მკვლელობები, გატაცებები და არეულობები არც ბრაზილიისთვის არის უცხო. ამჯერად უბედურება ტოკიოს „ვერდის“ თავდამსხმელ ედმუნდოს, ფოტოდან დაღონებული რომ გვიყურებს, დაატყდა თავს. მისი უმცროსი ძმა, ლუიშ კარლოს ალვეშ და სოუზა, რიო დე ჟანეიროში, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. 26 წლის ლუიშ კარლოსს მანამდე რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.*

# ზაგალო ავად გამხდარა

**არცთუ** სასიამოვნო ცნობა ბრაზილიიდან: დიდი მარიო ზაგალო გულის არითმიის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა როგორც კარდიოლოგი რენატო ვიელა აცხადებს, საგანგაშო მდგომარეობა არ არის და 71 წლის სპეციალისტს ხვალ გაწერენ.

ზაგალოს ასეთივე შეტევა აგვისტოშიც მოუვიდა. ცოტა ხანი მაშინაც გაატარა სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო შემდეგ მუშაობა ჩვეული რიტმით განაგრძო, იმხანად ის „ფლამენგოს“ წვრთნიდა.

შეხსენება რად უნდა, მაგრამ მაინც: მარიო ზაგალო ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონია, აქედან ორჯერ, 1958 და 1962 წლებში როგორც ფეხბურთელი, 1970 წელს როგორც მწვრთნელი, ხოლო 1994 წელს როგორც მწვრთნელის თანაშემწე გახდა.

სხვათა შორის, ბრაზილიის ნაკრებს წინა კვირაში კორეასთან ამხანაგურ მატჩში სწორედ ზაგალომ უხელმძღვანელა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ამჟამად უმწვრთნელოდ არიან და ამხანაგურ შეხვედრაში ფორმალური მწვრთნელობისთვის სწორედ ზაგალო გახლდათ მიწვეული, ვისთვისაც ეს გამარჯვება მეასე სანაკრებო გახლდათ.

**ნიკა ჭუბლაძე**


# იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული

როიალი „ბეხშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო,

მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.

ფასი 2 000 $



**ტელ: 22-23-15**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუჯირის თორმეტსანტიმეტრიანმა ავსტრიელი ექიმები შეაშინა



დავით მუჯირი

სრული ერთი სეზონი ელოდა დავით მუჯირი თავის ჯერს. „შტურმის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მისთვის იოლი არ გამოდგა. წლევანდელი ჩემპიონატიც თითქოს უიღბლოდ დაიწყო. გამოცდილი მწვრთნელი ივიცა ოსიმი კარგა ხანს ყოყმანობდა, ნდობოდა თუ არა ჩვენებურს, თუმც მალე ამასაც მოეღო ბოლო — მუჯირი ძირითადს გაუშინაურდა და მყისვე გუნდის ლიდერად იქცა.

მერე ივიცა ოსიმიც გადადგა, მაგრამ ამას ქართველ ნახევარმცველზე ცუდად არ უმოქმედია. პირიქით, ის ახალი მწვრთნელის ხელშიც შედეგიანად ათამაშდა და „შტურმის“ წარმატებებშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

დავით მუჯირის კარგი თამაში საქართველოს ნაკრების თავკაც ალექსანდრე ჩივაძესაც არ გამორჩენია მხედველობიდან და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სარუსეთოდ ეროვნულ გუნდში უხმო. ბევრის გასაკვირად, მუჯირი მატჩს (უფრო ზუსტად, პირველ ტაიმს) სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, მაგრამ შტურმელს ამაზეც გააჩნია თავისი მოსაზრება: „ჩემი თამაში ნაკრების თავკაცებმა, უბრალოდ, არ იციან. ალბათ ამიტომაც არ დამაყენეს ძირითადში. ჩემი აზრით, მწვრთნელებს ერთხელ მაინც უნდა ვენახე და ამის შემდეგ უფრო იოლი იქნებოდა ლაპარაკი. სხვაგვარად ახალ და თან „უცხო“ ფეხბურთელზე დაყრდნობა ცოტა ძნელია“...

ბოლო ტურებია, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ ტრავმის გამო ვერ ეხმარება თანაგუნდელებს. უეფას თასზე შემორჩენილ ერთადერთ ქართველს კი ხვალ რომის „ლაციოსთან“ „ომი“ ელის...

— ორი კვირა გამიცდა ტრავმის გამო. მეორე დღეა, რაც ვარჯიში განვაახლე და საბედნიეროდ, ჯერჯერობით ტკივილი არ მიგრძვნია. არადა, ბოლოხანს მართლა კარგ ფორმაში ვიყავი...

**— კონკრეტულად რა სახის ტრავმა გქონდა?**

— „პაშინგთან“ მატჩში ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და თამაშიც ველარ გავაგრძელე. როგორც გაირკვა, კუნთი მქონდა დაჭიმული. საკმაოდ რთული, 12-სანტიმეტრიანი დაზიანება აღმოაჩნდა უკანა კუნთზე.

**— ახლა ფეხი სრულად მოირჩინე?**

— ექიმებს მაინც ეშინოდათ და ცოტა ხნით დასვენებას კიდევ მირჩევდნენ, მაგრამ გუშინ თავად გადავწყვიტე ვარჯიში და, საბედნიეროდ, მგონი გამიმართლა. ფეხმა დატვირთვას გაუძლო. ახლა მთავარია, ფორმა ავიღდგინო. ორი კვირა არც ისე ცოტაა და ფიზიკურად მომძლავრება მჭირდება.

**— ამასობაში „შტურმმა“ უშენოდ ლიდერ „აუსტრიას“ სტუმრად მოუგო.**

— ბიჭებმა მართლა რთული მატჩი მოიგეს. „აუსტრიასთან“ ამ სეზონში ყველა თამაში წავაგეთ და გუნდიც მთელი მობილიზებით გავიდა მოედანზე. თან მეტოქეს ჩემპიონობა თითქმის განაღდებული აქვს და სამ-ოთხი ძლიერი ფეხბურთელიც აკლდა. ალბათ, საკუთარ თავს მოდუნების უფლებაც მისცეს და ჩვენც ეს არ ვაპატიეთ.

**— ახლა მეორეადგილოსან „პაშინგთან“ ერთად თანაბარი ქულები გაქვთ. არადა, მანამდე დიდად ჩამორჩებოდით...**

— რა თქმა უნდა, „პაშინგს“ დავეწიეთ და ახლა მთავარია ქულები არ დავკარგოთ. თანაც „პაშინგთან“ თამაში მომავალ უქმეებზე გვიწევს. ეს მატჩი ბევრს გადაწყვეტს. იმედი მაქვს, მანამდე შევძლებ ფორმაში ჩადგომას.

**— მანამდე კი იტალიური „ლაციო“ გელით. როგორ ფიქრობ, შეუძლია „შტურმს“ რომაელებთან ტოლსწორად თამაში?**

— ძალიან რთული იქნება. „ლაციო“ მართლაც ძლიერია და ამ წელსაც უდავო ფავორიტია. ვეცდებით, მეტოქეს სირთულეები შევუქმნათ ყველ შეხვედრაში, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

**— შენ თუ ითამაშებ „ლაციოს“ წინააღმდეგ?**

— ძირითად შემადგენლობაში ჩემი მოხვედრა, მგონი, გამორიცხულია. ამდენი დრო გამიცდა და, ვფიქრობ, მწვრთნელი ნაღდად არ დამაყენებს სასტარტოში, თუმცა, იმედი მაქვს, შეცვლაზე ვითამაშებ. თუ არადა, ვეცდები, საპასუხო მატჩში მაინც შევძლო იტალიელთა წინააღმდეგ მოედანზე გასვლა.

**ᲙᲐᲮᲐ ᲒᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

# ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲔᲕᲜᲔᲡ

**ᲐᲛ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ** ევროპაში ორი „დიდი დერბი“ იყო. ერთ-ერთ მათგანში ქართველი კახა კალაძე მონაწილეობდა. „მილანმა“ მძიმე ბრძოლაში აჯობა მოსისხლე „ინტერს“ და სასიხარულოა, რომ ჩვენებური საუკეთესოთა შორის იყო. კახას გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ანდრეი შევჩენკოს უზადო პასი ინტერელთა მეკარემ ფრანჩესკო ტოლდომ არ შეარგო. საბოლოოდ „მილანმა“ ნამატჩევს ორმაგად გაიხარა. ჯერ ერთი, თავისთვის ყველაზე მოძულე მეტოქეს მოუგო და მეორეც — სერია A-ს ლიდერობა დაიბრუნა.

გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში მხოლოდ ორი ქართველი გავიდა მოედანზე. კობიაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა“ სტუმრად უარყოფითი „კოლნთან“ 0:1 დათმო და დაწინაურებულ სამეულსაც ფსკერზე მოექცა. ფოლკერ ფინკეს შეგირდებისთვის ეს ადგილი სეზონის ბოლოსაც არ იქნება ურიგო, თუმც ახლა კონკურენტებიც მჭიდროდ მიუახლოვდნენ და ტემპის დაგდება არას არგებთ.

ავსტრიასა და ინგლისში „ქართულმა“ გუნდებმა „არაქართულად“ მოიგეს. დავით მუჯირი ტრავმის გამო ვერ შეეშველა „შტურმს“, თუმც გრაცელებმა უმისოდაც სძლიეს სტუმრად ლიდერ „აუსტრიას“. გიორგი ქინქლაძე კი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს „დერბი ქაუნთის“ მიერ „უიმბლდონის“ დაჩოქებას.

| 23.00 | 776 | ჰოლანდია-ბულგარეთი | 2,4 | 12,0 | 1,4 |
| 23.00 | 777 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| 23.00 | 778 | საფრანგეთი-ესტონეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.00 | 779 | ინგლისი-ჩეხეთი | 2,3 | 12,0 | 1,45 |
| 23.15 | 780 | ბოსნია-გერმანია | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 781 | ბელგია-რუმინეთი | 1,4 | 12,0 | 2,4 |
| 01.00 | 782 | პორტუგალია-იტალია | 7,5 | 12,0 | 1,02 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა.

| Time | № | Match | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **28 ნოემბერი** | | |
| 20.00 | 2703 | დენიზლი-ლიონი | 5,0 | 1,1 |
| 20.30 | 2704 | ვისლა-შალკე | 4,0 | 1,15 |
| 21.30 | 2705 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 2,0 | 1,6 |
| 23.00 | 2706 | ბეშიქთაში-დინამო | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2707 | ბორდო-ანდერლეხტი | 1,5 | 2,2 |
| 23.00 | 2708 | პაოკ-სლავია | 1,95 | 1,65 |
| 23.15 | 2709 | აეკ-მაკაბი | 1,55 | 2,1 |
| 23.30 | 2710 | ბრიუგე-შტუტგარტი | 2,2 | 1,5 |
| 23.30 | 2711 | შტურმი-ლაციო | 6,0 | 1,05 |
| 23.45 | 2712 | მალაგა-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2713 | ვიტესი-ლივერპული | 5,0 | 1,1 |
| 24.05 | 2714 | სელტიკი-სელტა | 2,1 | 1,55 |
| 00.30 | 2715 | ბეტისი-ოსერი | 1,5 | 2,2 |
| 01.30 | 2716 | პორტუ-ლანსი | 1,85 | 1,75 |

### I ტაიმის შედეგი.

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 2007 | ლევერკუზენი-ბარსელონა | 3,0 | 2,15 | 3,0 | 1,25 | 1,5 | 1,25 |
| 23.45 | 2008 | ნიუკასლი-ინტერი | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1,52 | 1,21 |
| 23.45 | 2009 | რომა-არსენალი | 2,8 | 2,1 | 3,3 | 1,19 | 1,51 | 1,28 |
| 23.45 | 2010 | ვალენსია-აიაქსი | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 2011 | დენიზლი-ლიონი | 3,8 | 2,1 | 2,5 | 1,35 | 1,5 | 1,14 |
| 20.30 | 2012 | ვისლა-შალკე | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1,52 | 1,21 |
| 21.30 | 2013 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 2,7 | 2,1 | 3,4 | 1,18 | 1,5 | 1,29 |
| 23.00 | 2014 | ბეშიქთაში-დინამო | 2,35 | 2,1 | 4,2 | 1,1 | 1,5 | 1,39 |
| 23.00 | 2015 | ბორდო-ანდერლეხტი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 23.00 | 2016 | პაოკ-სლავია | 2,5 | 2,1 | 3,6 | 1,14 | 1,47 | 1,32 |
| 23.15 | 2017 | აეკ-მაკაბი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 23.30 | 2018 | ბრიუგე-შტუტგარტი | 2,7 | 2,15 | 3,3 | 1,19 | 1,48 | 1,3 |
| 23.30 | 2019 | შტურმი-ლაციო | 4,0 | 2,1 | 2,4 | 1,37 | 1,5 | 1,12 |
| 23.45 | 2020 | მალაგა-ლიდსი | 2,5 | 2,1 | 3,6 | 1,14 | 1,47 | 1,32 |
| 23.45 | 2021 | ვიტესი-ლივერპული | 4,2 | 2,1 | 2,35 | 1,39 | 1,5 | 1,1 |
| 24.05 | 2022 | სელტიკი-სელტა | 2,6 | 2,1 | 3,5 | 1,16 | 1,49 | 1,31 |
| 00.30 | 2023 | ბეტისი-ოსერი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 01.30 | 2024 | პორტუ-ლანსი | 2,45 | 2,1 | 3,8 | 1,13 | 1,48 | 1,35 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (XVI ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (XII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 00.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (XII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XVII ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9, | 24 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 20.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (XII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 23.00 | 2607 | ბელგია Iდ. (XIV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |
| 29.11 22.00 | 2608 | თურქეთი. (XV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 27 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2107 | ლევერკ.-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2108 | ნიუკასლი-ინტერი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2109- | რომა-არსენალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 2110 | ვალენსია-აიაქსი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | | 28 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.00 | 2111 | დენიზლი-ლიონი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 20.30 | 2112 | ვისლა-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 21.30 | 2113 | ლიბერეცი-პანათინაიკ. | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.00 | 2114 | ბეშიქთაში-დინამო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.00 | 2115 | ბორდო-ანდერლეხტი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.00 | 2116 | პაოკ-სლავია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2117 | აეკ-მაკაბი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 2118 | ბრიუგე-შტუტგარტი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.30 | 2119 | შტურმი-ლაციო | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 23.45 | 2120 | მალაგა-ლიდსი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2121 | ვიტესი-ლივერპული | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 24.05 | 2122 | სელტიკი-სელტა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 00.30 | 2123 | ბეტისი-ოსერი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 01.30 | 2124 | პორტუ-ლანსი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 2507 | ლევერკუზენ-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | ნიუკასლი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2509 | რომა-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | ვალენსია-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 2511 | დენიზლი-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2512 | ვისლა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.30 | 2513 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2514 | ბეშიქთაში-დინამო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2515 | ბორდო-ანდერლეხტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2516 | პაოკ-სლავია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2517 | აეკ-მაკაბი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2518 | ბრიუგე-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2519 | შტურმი-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2520 | მალაგა-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2521 | ვიტესი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.05 | 2522 | სელტიკი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2523 | ბეტისი-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 01.30 | 2524 | პორტუ-ლანსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 27 ნოემბერი | | |
| 23.45 | 2407 | ლევერკუზენ-ბარსელონა | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2408 | ნიუკასლი-ინტერი | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2409 | რომა-არსენალი | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2410 | ვალენსია-აიაქსი | 1,45 | 2,8 |
| | | 28 ნოემბერი | | |
| 20.00 | 2411 | დენიზლი-ლიონი | 2,2 | 1,7 |
| 20.30 | 2412 | ვისლა-შალკე | 1,9 | 1,9 |
| 21.30 | 2413 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 1,8 | 2,0 |
| 23.00 | 2414 | ბეშიქთაში-დინამო | 1,65 | 2,3 |
| 23.00 | 2415 | ბორდო-ანდერლეხტი | 1,55 | 2,5 |
| 23.00 | 2416 | პაოკ-სლავია | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2417 | აეკ-მაკაბი | 1,5 | 2,6 |
| 23.30 | 2418 | ბრიუგე-შტუტგარტი | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2419 | შტურმი-ლაციო | 2,3 | 1,65 |
| 23.45 | 2420 | მალაგა-ლიდსი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 2421 | ვიტესი-ლივერპული | 2,2 | 1,7 |
| 24.05 | 2422 | სელტიკი-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 00.30 | 2423 | ბეტისი-ოსერი | 1,5 | 2,6 |
| 01.30 | 2424 | პორტუ-ლანსი | 1,7 | 2,2 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 27 ნოემბერი | | |
| 23.45 | 2307 | ლევერკუზენ-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2308 | ნიუკასლი-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2309 | რომა-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2310 | ვალენსია-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| | | 28 ნოემბერი | | |
| 20.00 | 2311 | დენიზლი-ლიონი | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 2312 | ვისლა-შალკე | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2313 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2314 | ბეშიქთაში-დინამო | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2315 | ბორდო-ანდერლეხტი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2316 | პაოკ-სლავია | 1,75 | 1,85 |
| 23.15 | 2317 | აეკ-მაკაბი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2318 | ბრიუგე-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2319 | შტურმი-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2320 | მალაგა-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2321 | ვიტესი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 24.05 | 2322 | სელტიკი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2323 | ბეტისი-ოსერი | 1,75 | 1,85 |
| 01.30 | 2324 | პორტუ-ლანსი | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 27 ნოემბერი | | |
| 23.45 | 2207 | ლევერკუზენ-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2208 | ნიუკასლი-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2209 | რომა-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2210 | ვალენსია-აიაქსი | 1,9 | 1,7 |
| | | 28 ნოემბერი | | |
| 20.00 | 2211 | დენიზლი-ლიონი | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 2212 | ვისლა-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 21.30 | 2213 | ლიბერეცი-პანათინაიკოსი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2214 | ბეშიქთაში-დინამო | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2215 | ბორდო-ანდერლეხტი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2216 | პაოკ-სლავია | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2217 | აეკ-მაკაბი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2218 | ბრიუგე-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2219 | შტურმი-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2220 | მალაგა-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2221 | ვიტესი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 24.05 | 2222 | სელტიკი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2223 | ბეტისი-ოსერი | 1,8 | 1,8 |
| 01.30 | 2224 | პორტუ-ლანსი | 1,8 | 1,8 |

ბათუმში „ბასკოს“ სამწლიან წაუგებელ სვლას კვირას დაესვა წერტილი. ზღვისპირელები მრავალჯერ ყოფილან ნაგების ზღვარზე, ოვერტაიმიც ბევრჯერ უთამაშიათ, მაგრამ აჭარული კლუბის შინაურ კედლებში მოდრეკვა პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოახერხა. „ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო — ამბობს „ბასკოს“ თავკაცი ნუგზარ კანდელაკი — არსად მეგულება გუნდი, შინ სამი წელი არ წაეგოს“.

„ბასკოს“ შინ დამარცხება რომ დროის ამბავი იყო, ამას დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა, ბათუმელებმა პირველად და თან არა უკანასკნელად წააგეს შინ. შემდეგი მარცხები ალბათ ნაკლებად გახმოვანდება, მაგრამ ამ მარცხებს „ბასკოს“ მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკიც არ გამორიცხავს



# ნუგზარ კანდელაკი: წასაგები წავაგეთ, მოსაგები ბევრი დაგვრჩა



კახა შენგელიას ქულებმა ბათუმელებს ვერ უშველა

— თსუ-მ დამსახურებულად დაგვამარცხა, მას უფრო მეტად ეწადა გამარჯვება. სამწუხაროა, რომ „ბასკომ“ არსებობის მანძილზე პირველი მატჩი წააგო ბათუმში, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო და მოხდა კიდეც.

— არადა, იმ გუნდთან წააგეთ, რომელიც პირველ წრეში სტუმრად დიდი ანგარიშით დაამარცხეთ.

— წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, მაგრამ ერთხელაც ვიტყვი, თსუ-ს უფრო ეწადა მოგება, თბილისელები ჩვენზე მეტად იყვნენ მობილიზებულნი და შედეგიც ლოგიკურია. ჩემი აზრით, მარცხის მთავარი მიზეზი ბასკოელთა განწყობაა. ჩემმა გუნდმა თსუ-სთან ისეთი შემართებით ვერ ითამაშა, როგორც თბილისურ მატჩში, განწყობა მთავარი ფაქტორია შედარებით თანაბარძალიანი გუნდების შეხვედრაში.

**— „ბასკო“ და თსუ თანაბარძალიანი გუნდები არიან?**

— „ბასკოს“ არავისზე ძლიერი და არც არავისზე სუსტი შემადგენლობა ჰყავს, ცხადია, აუტსაიდერებს არ ვგულისხმობ. ყველა ლიდერი თითქმის თანაბარძალოვანია. „დინამო“ აიღეთ, რომელმაც გუშინ „სტუ-ჯეოსელთან“ წააგო, სტუ კი ჩვენ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. ამიტომაც ვამბობ, განწყობაა-მეთქი მთავარი. ბევრად უკეთ მომზადებული და შეკრებებგავლილი „დინამო“, ამ მხრივ გაცილებით ნაკლებადგანებივრებულ გუნდთან ვერაფერს გახდა.

**— ესე იგი, შესაძლებელია, კვლავაც წააგოთ ბათუმში?**

— არაფერია გამორიცხული, ისე კი, ამიერიდან შინ წავაგებთ თუ არა, დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია, საბოლოო შედეგს მივაღწიოთ. „ბასკოს“ ბათუმში წაუგებლობა ერთგვარ ფსიქოლოგიურ ტვირთად აწვა. აქამდე არაერთხელ უნდა წაგვეგო და სულ ჩვენდა სასიკეთოდ სრულდებოდა ყველაფერი. ბოლო ხანებში კი ამის გამო საკმაო პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მოთამაშეები და შესაბამისად ნერვიულობდნენ. ახლა ეს ფსიქოლოგიური წნეხი აღარ არსებობს. ვგებ ეს მარცხი სასიკეთოდაც წაგვადგეს. ნათქვამია, თუ არ წაიქეცი, ვერ გაივლიო.

**— თქვით, მოწინავე გუნდების დონე დაახლოებით თანაბარიაო და მაინც ამ შემადგენლობით „ბასკოსთვის“ ჩემპიონობის შენარჩუნება რომ ურთულესი საქმე იქნება, ლაპარაკიც ზედმეტია. გაძლიერებას არ აპირებთ?**

— დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს შევიმატებთ, მაგრამ ამისთვის სერიოზულად ვმუშაობთ. ჯერ კიდევ გვაქვს დრო, სატრანსფერო სეზონი 1 იანვარს იხურება.

**— რაც უფრო დაიგვიანებთ, კარგი მოთამაშის პოვნის შანსი შეგიმცირდებათ.**

— საქართველოს ჩემპიონატი არაა ისეთი დონის, მაღალი კლასის კალათბურთელების გარდა ჭაპანი სხვებმა ვერ გაწიონ. გინდ ევროპაში, გინდ ამერიკაში და გინდაც რუსეთში ყოველთვის მოიძებნება ისეთი კალათბურთელი, ქართულ კლუბებს რომ დაეხმაროს.

**— ჩემპიონობაში?**

— თუნდაც ჩემპიონობაში, მაგრამ „ბასკოს“ ასეთი ხმამაღალი განცხადების გაკეთების უფლება დღეს არ აქვს. ახლა საჭიროა, იმ ოპტიმალური სათამაშო პოზიციების პოვნა, რომლებზეც ყველაზე მეტად გვიჭირს და შესაძლებლობის ფარგლებში მათი ლეგიონერებით შევსება. ისე, არც ქართველთა შემატებას გამოვრიცხავთ.

**— ესე იგი, საჩემპიონო განაცხადს არ აკეთებთ?**

— დღესდღეობით ჩვენი მიზანი ფინალში თამაშია, მომავალში რა იქნება, მალე გამოჩნდება.

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შენ გამახარე, ამარე! ეს ბიჭი აღარ ცანცარებს

25 ნოემბერი

**ფილადელფია 108:87 ნიუ ორლეანი**
**ფილადელფია:** აივერსონი (29), მაკალოფი (15), ვან ჰორნი (14), მაკი (14)
**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (18), დევისი (17)

**ფინიქსი 86:81 მილუოკი**
**ფინიქსი:** მარიონი (22 ქულა, 15 მოხსნა), სტუდემაიერი (15 ქულა, 13 მოხსნა)
**მილუოკი:** კასელი (22), რეიდი (21 ქულა, 11 მოხსნა)

2001 წლის პლეი ოფის ფინალოსანი „ფილადელფია სიქსერზი“ ამ სეზონში მოწინავე პოზიციების დაბრუნებისთვის თავს იკლავს, რაღაც გამოსდის კიდეც. ლარი ბრაუნის შეგირდებმა აგერ, ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგეს და ატლანტიკის კონფერენციდან წინა სეზონის ვიცე-ჩემპიონი „ნიუ ჯერსი“ გადმოაგდეს.

„ფილადელფია“ შინ ხვდებოდა ოდესღაც შარლოტელ, ახლა კი ახალ ორლეანში დაბუდებულ „კრაზანებს“ და მათი ამოწყვეტის სურვილით იწვოდა. ამას წინათ, 19 ნოემბერს, „ჰორნეთსმა“ შინ 99:98 დაკბინა „ფილადელფია“. „კრაზანათა“ შორის ყველაზე ნესტარბასრმა ჯამალ მაშბურნმა მაშინ 37 ქულით დაგესლა ფილადელფიელები და ესენიც, თავმოყვარე ბიჭები, სამაგიეროს გადახდის წყურვილით გულ-ყელს იხოკავდნენ. განსაკუთრებით მათი მთავარმექულე ალენ აივერსონი იცემდა მკერდზე მჯიღს. ეს ბიჭი და მარცხი ერთმანეთში ვერ რიგდებიან, სულ გამარჯვება და პირველობა უნდა „სიქსერზის“ ჭინკა ლიდერს. მან იმ დღეს მოახერხა, გამარჯვების სურვილი გამარჯვებად ექცია.

მეექვსე სეზონია, ლარი ბრაუნი აივერსონის მწვრთნელია და ამ ხნის განმავლობაში მისგან ბევრი სპორტული სასწაული უნახავს. ჭინკას ხშირად ჩაუგდია 40 ქულა, არაერთხელ 50-საც ასცილებია, მაგრამ თუ ბრაუნს დავუჯერებთ, მას ასე კარგად არასდროს უთამაშია. „ახალ ორლეანს“ აივერსონმა „მხოლოდ“ 29 ქულა ჩაუგდო, ბრაუნმა კი ბრძანა, რომ მისმა ბიჭმა (როცა ალენით კმაყოფილია, ასეც ეძახის ხოლმე), რომელიც ახლა 27 წლისაა, ქულების გროვების ტექნიკა კი არა, მთლიანად თამაში დახვეწა და უაზროდ აღარ ცანცარებს.

აივერსონს მარტოს არ მოუგია თამაში, სხვებიც დაეხმარნენ და „ფილადელფიამ“ წყურვილი სრულად დაიკმაყოფილა. 21-ქულიანი გამარჯვება მათ თავმოყვარეობას ფრიად ეამა. ორლეანელთა ლიდერი ჯამალ მაშბურნი მხოლოდ პირველ ნახევარში ჰგავდა საკუთარ თავს, როცა 16 ქულა გააკეთა. დიდი შესვენების შემდეგ კი მასპინძელთა დაცვამ მას ოდენ ორი ქულა აკმარა. ვერც მეორე ლიდერი, ბაირონ დევისი ლიდერობდა. ფილადელფიელთა დამცველები მომხდურთა წინაშე გაუვალ ცოცხალ წინაღობებს ქმნიდნენ და მანაც დიდად ვერ გამოაჩინა თავისი ნიჭი.

დღის მეორე თამაშში „ფინიქსმა“ ტრავმებშეპარული „მილუოკი“ წამოაქცია, რაშიც 15-ქულიანი და 13-მოხსნიანი წილი დაიდო ფინიქსელთა ახალბედა ამარე სტუდემაიერმა. ამ ჯეელმა, რომელიც ნბა-ში პირდაპირ სკოლიდან, უნივერსიტეტის მოუნახულებლად მოხვდა, ორივე მაჩვენებელში სეზონის რეკორდი დაამყარა და ნამატჩევს პატივცემულ პირთაგან ქების მოსმენა მოუხდა. „ახალბედაა, მაგრამ უკვე შესანიშნავი მოთამაშეა, აშკარად მაღალი კლასია“ — სტუდემაიერი თვით მეტოქეთა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა შეაქო. რაც შეეხებათ მილუოკელებს, მათ ორი ყოჩი — რეი ალენი და ენტონი მეისონი აკლდათ, მაგრამ მაინც ბოლომდე იომეს. ვაგლახ, ამაოდ დაშვრნენ.

**ირაკლი ფირუზიშვილი**



დავით უგრეხელიძის ბერძნული ოდისეა სლოვენიაში დასრულდა

# უგრეხელიძეს ხელი ისევ სლოვანმა გაუმართა

**საქართველოს** ნაკრების უგუნდოდ მყოფ ცენტრ დავით უგრეხელიძის ბედი როგორც იქნა, გაირკვა. ბერძნულ კლუბებთან ბარე ოთხთვიანმა მოლაპარაკება-ვარჯიშებმა შედეგი ვერ გამოიღო და „უგრე“ თავის ძველ გუნდში, ლიუბლიანის „სლოვანში“ დაბრუნდა.

უგრეხელიძე და კოტე ტულუში „სლოვანში“ არასაკმარისად თამაშის გამო სლოვენიიდან წინა სეზონის ბოლოს წამოვიდნენ. საკალათბურთო აგენტ გიორგოს დიმიტროპულოსის იმედად, ისინი ბერძნულ „პანიონიოსში“ მივიდნენ გასასინჯად, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება გაუჯანჯლდათ. ტულუში სამშობლოში დაბრუნდა და თავის ძველ კლუბ „სტუ-ჯეოსელს“ შეუერთდა, უგრეხელიძე კი უკეთესი მომავლის იმედით „პანიონიოსში“ დარჩა. იქაურები დავითს კი ეუბნებოდნენ, მოგვწონხარო, მაგრამ საბერძნეთის ფედერაციასა და ამ ქვეყნის კლუბებს შორის ლეგიონერთა ლიმიტის გამო ატეხილი დავის გამო კონტრაქტს ვერ უფორმებდნენ. საბოლოოდ „პანიონიოსში“ უგრეხელიძესთვის ადგილი ვერ გამოინახა და ქართველმა ცენტრმა ათენის პაოკ-ს მიაშურა, მაგრამ ამაოდ. დიმიტროპულოსმა დანაპირები ვერ შეუსრულა ჩვენებურს — ბერძნულ კლუბში ვერ მოაწყო და ფაქტობრივად უგუნდოდ დარჩენილმა უგრეხელიძემ ისევ სლოვენიას მიაშურა.

რამდენიმე დღის წინ „სლოვანმა“ უგრეხელიძეს წლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა. დავითი ვარჯიშს უკვე შეუდგა და უახლოეს მატჩებში შესაძლოა მოედანზე გამოჩნდეს.

**ირაკლი ბერტაია**



REUTERS

ალენ აივერსონმა ახალორლეანელი „კრაზანები“ იქით დანესტრა

### ინგლისი 53:3 სამხრეთ აფრიკა

**ინგლისი: 7ლ: გრინვუდი (2), კოენი, ბეკი, ჰილი, დალაღლიო, ტექნიკური; 6გ: უილკინსონი, დოუსონი, გომერსოლი (2), სტომპსონი (2); 2ს: უილკინსონი**
**სამხრეთ აფრიკა: 1ს: პრეტორიუსი;**

ტესტ-მატჩები

# არაფერი შეგეშალოთ!

## ის ინგლისი ეს ინგლისი არ იქნება

*სამნოემბრო ევროტესტაობა სამხრეთნახევარსფეროელი ბობოლებისთვის ერთობ ნარუმატებელი გამოდგა. ოღონდ — თუკი ინგლისთან დამარცხების შემდეგ ახალზელანდიელებმა საფრანგეთთან ფრედ თამაში, ხოლო უელსთან სულაც მოგება შეძლეს, ავსტრალიელებმა კი ირლანდიელებსა და ინგლისელებთან ნაგებებით ამღვრეული ჯიგარი იტალიელთა ძლევით ოდნავ მაინც დაიცხრეს, რუდოლფ სტრაულის ქურციკები სამჯერვე ჩაფლავდნენ. სამხრეთაფრიკელებმა ჯერ შოტლანდიელებთან დათმეს (6:21), მერე ფრანგებთან (10:30), გასულ შაბათს კი თავიანთი საუკუნოვანი ისტორიის უსაშინლესი მარცხიც იგემეს. ეს ამბავი თვიქნემში მოხდა, სადაც ინგლისის ნაკრებს ზედიზედ უკვე 17 ტესტში ემარჯვა და აფრიკელთა ძლევის შემთხვევაში ციურიხის მსოფლიო რეიტინგსიაში უნდა გაპირველებულიყო...*

მატჩის ბედი 23-ე წუთზე გადაწყდა, როცა ახალზელანდიელმა მსაჯმა პედი ობრაიენმა სტუმართა მეორეხაზელ იანეს ლაბუსხანეს წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. გაძევების მიზეზი მის მიერ უბურთო მეტოქის, სახელდობრ, ჯონი უილკინსონის შებოჭვა იყო. ამ დროისთვის მასპინძლები იმავე უილკინსონის ზუსტი საჯარიმოსა და ბენ კოენის ლელოს წყალობით უკვე 8:0 იგებდნენ და მათი შერკინებაც ნელ-ნელა, მეთოდურად აჩერხებდა სტუმართა შერკინების დათრგუნვას.

კაცნაკლული ქურციკები, რომლებიც მატჩის პირველ წუთებში თუმც კი აქტიურობდნენ, მაგრამ ვაგლახი დისციპლინის გამო ამ აქტიურობიდან კინკილა სამქულითაც ვერ იხეირეს, გალალებულ მასპინძლებს ველარაფერში გაედავნენ. უილკონსონის მიერ გონივრულად წარმართული უკანახაზი ხშირად ახერხებდა სტუმართა დაურაზმავი რიგების გარღვევას. შედეგად — ტაიმის დასრულებამდე ინგლისელებმა კიდევ ორი ლელოს გატანა შეძლეს. ბენ კოენის მორიგი ნალვაწი ვიდეორეფერიმ გააუქმა, აი, უილ გრინვუდის ხუთქულიან ზღართანს კი წუნი არ დაედებოდა. ამის მერე უილკინსონმა და ანდრე პრეტორიუსმა თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს და საპირველტაიმო ანგარიშად 18:3 დადგინდა.

მეორე ნახევარში მასპინძლები წარმატებით განაგრძობდნენ ქურციკთა რბევას — გრინვუდის მეორე ლელოს ჯერ საჯარიმო ლელო, მერე კი ნილ ბეკის, რიჩარდ ჰილისა და ლორენს დალაღლიოს შედეგიანი იერიშები მოჰყვა. მომხვდურთაგან განსაკუთრებით ცუდი თამაშით შუახაზელები — ბუჩ ჯეიმსი და რობი ფლეკი გამოირჩნენ. ინგლისელთა შორის კი მედიამ, ბენ კოენი გამოჰყო — მან ხომ სამივე ბობოლა სამხრეთელი დაალელოვა. ინგლისელთა ჩაუქმა გარემარბმა ქურციკებამდე ერთხელ „ოლ ბლექსის“, ხოლო ორჯერ „ვოლაბთა“ ლელოშიც გაინავარდა...

ამ გამარჯვებამ ინგლისი ციურიხის მსოფლიო კლასიფიკაციის სათავეში დააბრუნა. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, ასე მძიმედ ის არასოდეს დამარცხებულა. ქურციკთა ყველაზე საშინელ აქამომდელ წახდენად ახალზელანდიელებთან 1999 წელს 0:28-ით დამარცხება ითვლებოდა. ეს მხოლოდ მეორედ მოხდა, რომ ქურციკებმა ერთ მატჩში ერთბაშად შვიდი ლელო გაუშვეს და მეტოქეს 50 ქულა მოაგროვებინეს. ევროპიდან ყველამატჩწაგებულად კი სამხრეთაფრიკელები აქამდე მხოლოდ 1965 წელს გაბრუნებულიყვნენ — მაშინ მათ ირლანდიისა და შოტლანდიის ნაკრებები გაუსწორდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილო ნახევარსფეროში სატესტაოდ ქურციკები 1906 წლიდან მოგზაურობენ, ადვილი გასაგები იქნება, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათთვის ასეთ სამმატჩოვან ჩაფლავებას.



REUTERS ლონდონიდან

ინგლისელი ბენ კოენი ის კაცია, სამი სამხრეთელი ბობოლა რომ დაალელოვა

„ქურციკთა ისტორიის უშავესი დღე“ — ასეთი და ამის მსგავსი სათაურებით იბეჭდება ამ დღეებში კეიპტაუნური თუ იოჰანესბურგული გაზეთები. „ასეთი ჯოჯოხეთური 80 წუთი ჩვენებურ რაგბის არასოდეს განუცდია — სწერია ერთ-ერთ ტაბლოიდში — ეს ნამდვილი ქლეტა იყო. ალბათ სოლომონსაც კი არ ეყოფოდა სიბრძნე, რათა ქურციკთა პრობლემებზე ადექვატური პასუხები გაეცა“.

„იმსახურებდა თუ არა იანესი გაძევებას? — კითხულობს მეორე — უსათუოდ! იანეს ლაბუსხანეს შაბათის შემდეგ ჩვენი რაგბის უდიდესი ვალი აქვს. ეს უწინარესად სწორედ მისმა მიქარვამ განაპირობა, რომ თვიქნემში ქურციკთა სამარე გაითხარა“.

საყოველთაო მოთქმისა და გოდების ფონზე უდრტვინველობას ინარჩუნებს და იხტიბარს არ იტეხს ქურციკთა თავკაცი რუდოლფ სტრაული. მისი აზრით, არ ეგების; სპეციალისტებსა თუ ქომაგებს შეუმჩნეველი დარჩეთ ის ყოველივე დადებითი, რაც მისმა შეგირდებმა ევროტურის დროს აჩვენეს.

სტრაული: „განა [illegible] არ არის ის ამბავი, რომ [illegible] ინგლისელები თავიანთ ლელოებზე მეტად ჩვენ აგრესიულ დაცვაზე საუბრობდნენ. ცხადია, რომ მათ აღელვებთ ეს და უკვე ამთავითვე უფრთხიან ამას. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ბიჭებით. ევროპაში ისინი ბიჭებად ჩავიდნენ და შინ კაცებად ბრუნდებიან. ასევე მოუვიდათ ინგლისელებს, როცა 1998 წელს კლაივ ვუდვორდმა თავისი გამოუცდელი ნაკრები ავსტრალიაში ჩაიყვანა და ბრისბენში ვოლაბებთან 0:76 დამარცხდა... ყველაფერი გაისად, 18 ოქტომბერს, პერთში გაირკვევა, სადაც ჩვენ ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე შევეხლებით. მანამდე დიდი დროა, ჩვენ ყველაფერს გავაანალიზებთ, კარგად მოვემზადებით და იმედია, მომავალ შემოდგომაზე სრულიად სხვა ნაკრებს იხილავთ. მთავარია, რომ ამ ჯერზე მრავალი ნიჭიერი ჭაბუკი გამოვცადეთ და დავრწმუნდით, რომ ჩვენ რაგბის უდიდესი პოტენცია აქვს“.

„არა მგონია, ინგლისელებმა მომავალში იმაზე უკეთ თამაში შეძლონ, ვიდრე ამ ნოემბერში ითამაშეს — მწვრთნელის კაპიტანი, კორნე კრიგეც ეხმიანება — ჩვენ კი შეგვიძლია, სულ მცირე 60 პროცენტით მაინც მოვუმატოთ. ამიტომ ეს წაგება არ გვაშინებს... თვიქნემში მათ მიერ მოპოვებული 18 ზედიზედი გამარჯვება იმას მოწმობს, რომ ისინი აქ ძნელად დასამარცხებლები არიან, მაგრამ არც იმის გაუთვალისწინებლობა ივარგებს, რომ მათ საგარეო ტესტების მხოლოდ 45 პროცენტი მოუგიათ. ესე იგი — ისინი სტუმრად ისე კარგად ვერ ირჯებიან, მსოფლიოს თასს კი — მოგეხსენებათ — გაისად თვიქნემი არ მასპინძლობს“.

ამავე აზრს ემხრობა ქურციკთა 1995 წლის მსოფლიოს თასის მომგები გუნდის კაპიტანი ფრანსუა პინარიც. ჟურნალისტთა კითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ ნოემბერში ნაწვიმარ ევროსარბიელებზე გამართულ შეხვედრებს მწველი ავსტრალიური მზის ქვეშ გაისად გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მან ასე მიუგო: „არანაირი, აბსოლუტურად არანაირი. სასაცილოც კია, როცა აქა-იქ უკვე საგაისო ჩემპიონატზე საუბრობენ. იმ დროისთვის ყველა ფორმაში იქნება, ნაკრებები უკეთ მოემზადებიან, მწვრთნელებს უკვე დასტურ ეცოდინებათ, ვის უნდა ენდონ და ვის არა, როგორ ფორმაში არიან მათი მეტოქეები და როგორი შემადგენლობები შეარჩიეს მათ, ვინ იქნებიან მსაჯები და ათასი სხვა. ასე რომ, აქედანვე რაღაც პროგნოზების კეთებას არავის ვურჩევ. გაისად ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს“.

### უელსი 17:43 ახალი ზელანდია

**უელსი: 2ლ: ჯ. რობინსონი, ტექნიკური; 2გ: ს. ჯოუნსი, ი. ჰარისი; 1ს: ს. ჯოუნსი**
**ახალი ზელანდია: 4ლ: დ. ჰოულეტი (2), რ. კინგი, ლ. მიუსი; 5ს: ე. მერთენსი; 3გ: ე. მერთენსი**

უელსელებმა ჩვეულებისამებრ ჯიგრიანად და თავგანწირვით იომეს, მაგრამ კლასით აშკარად აღმატებული მეტოქის წინააღმდეგ ეს საკმარისი ვერ გამოდგა. ოლბლექსის მძლავრი შერკინება უბრწყინვალესი უკანახაზითურთ მასპინძელთა სალელოე მიჯნას პირველი წუთებიდანვე მიეძალა და დადარაჯებული თვალისთვის აშკარა შეიქნა, რომ ადრე თუ გვიან ეს მიძალება ქულადი ფორმით უნდა გამოხატულიყო.

მაგრამ ეს მხოლოდ მეორე ნახევარში მოხდა. პირველში კი ჯერ სტუმართა საუცხოო გარემარბს, დუგ ჰოულეტს გაუცუდდა მომენტი, მერე კი ვიდეორეფერიმ ახალზელანდიელთა მიერ ლიანგურად გატანილი ლელო არ ჩათვალა. ამას სტივენ ჯონსისა და ენდრიუ მერთენსის თითო-თითო საჯარიმო მოჰყვა, ხოლო მე-16 წუთზე მერთენსის ნაგლაჯუნები უელსელმა მარტინ უილიამსმა ზელანდიელებისვე ლელოსაკენ შეაბრუნა, სადაც ბურთს პირველმა ჯემი რობინსონმა მიუსწრო — 10:3. შემთხვევით ლელოს სტუმრები არ შეუკრთია და ისინი თანმიმდევრულად განაგრძობდნენ უელსელთა შევიწროვებას. მასპინძელთა დამრტყმელები წინსვლას ძირითადად ტაქტიკური დარტყმებით ცდილობდნენ, თუმცა აუტების აბსოლუტური უმრავლესობა ოლბლექსელ მეორეხაზელთა გამარჯვებით სრულდებოდა და მათ უკანახაზელებსაც ხშირად ეძლეოდათ ბურთის ხელდახელ გათამაშების შესაძლებლობა, რასაც ისინი — ჰალალად უნდა ითქვას — ძალზედ ეშხიანად აკეთებდნენ.

ეშხს შედეგი მას შემდეგ წაება, რაც რომ ენდრიუ მერთენსმა შესვენების შემდეგ მეხუთე საჯარიმოდან მეოთხე გაანაღდა და თავისიანები 12:10 დააწინაურა. ამის მერე ახალზელანდიელებს მატჩის სადავეები აღარ გაუშვიათ — ძალაგამოლეულ უელსელებს საალყედ შემოეწყვნენ და ერთი-მეორეზე ამოდსანახავი ლელოებიც გაუტანეს. შუშპარა დუგ ჰოულეტთან ერთად გამოსარჩევი იმ დღეს ტანა უმაგაც იყო — ჰოულეტის პირველი და რეგან კინგის ლელოები ხომ სწორედ მისი პასების შედეგად გავიდა.

უელსელებმა გული მხოლოდ მაშინ მოიცეს, როცა საჯარიმო ლელოს წყალობით მეტოქეს ხუთი ქულით (17:22) მიუახლოვდნენ, მაგრამ ეგ იყო და ეგ — მატჩის მიწურულს ახალისებულ სამხრეთელთა დაოკება უკვე შეუძლებელი იყო.

ასე რომ — 49-წლიანი ნავსის გატეხვა უელსელებმა ვერც ამჯერად მოახერხეს, ახალზელანდიელთა ძლევა, ვინ იცის, მათ უკვე მერამდენე თაობას ეგრეც აუხდენელ ოცნებად რჩება.

ოლბლექსის თავკაცი ჯონ მიჩელი ამ მატჩითაც და საერთოდ, მთელი ტურითაც კმაყოფილი დარჩა. გარდა იმისა, რომ ამ ტესტებში მან 12 ახალბედა გამოსცადა, იმის საშუალებაც მიეცა, რომ ევროპის ორი უძლიერესი ნაკრების — ინგლისისა და საფრანგეთის საუკეთესო გუნდებიც ეხილა, ეხილა ისე, რომ თავისი საუკეთესო გუნდი არ ენახვებინა. „ამ მატჩების გათვალისწინებით, ისინი ამჟამად უდავო ფავორიტები არიან — თქვა მან — მაგრამ ძალიან შორსაც ნუ გაიხედავთ. ევროპელები ჩვენ ივნისში გვესტუმრებიან და სამსოფლიოჩემპიონატო შანსებზეც, მოდით, მერე ვილაპარაკოთ“.

### იტალია 3:34 ავსტრალია

**იტალია: 1ს: პერი**
**ავსტრალია: 5ლ: სტანიფორსი (2), ჰარისი, კეფუ, მორტლოკი; 3გ: ბერკი; 1ს: ბერკი**

იტალიაში ახლა გადაუღებლად წვიმს და გენუის ლუიჯი ფერარის სახელობის სტადიონი იმ დღეს ისეთ ვაგლახ მდგომარეობაში იყო, კაცს მაინცდამაინც სარაგბოდ და საბურთაოდ არ განაწყობდა. თუმცა ვოლაბებს თავიანთი ანგარიში ჰქონდათ — ოთხი ტესტმატჩისთვის სამშობლოდან დაძრულებს შინ (ინგლისსა და ირლანდიასთან ნაწვნევი) ორი მარცხის წილ (არგენტინასა და იტალიასთან მოპოვებული) ორი გამარჯვება მაინც უნდა ჩაეტანათ. ჰოდა, ჩაიტანეს კიდეც, თუმცა ამ არითმეტიკული ტოლობის უკან დიდი რამ ხარისხობრივი უტოლობა რომ დგას, ეს ვინძლო რაგბიში ოდნავ ჩახედულ მკითხველსაც კარგად ესმის.

ჯონ ქირვანის სამწყსო ამჯერადაც ძალზედ უსუსურად გაირჯა, მასპინძელთა ერთადერთი საჯარიმო კი დაშავებული დიეგო დომინგესის ნაცვლად მოათნომრე რამირო პესმა შეაგდო. რაც შეეხებათ ვოლაბებს, მათგან პირველ ნახევარში ჯასტინ ჰარისონმა და ორჯერ უარატაჰ სტენიფორტმა ილელოვეს, ხოლო მეორეში — ტოუტაი კეფუმ და სტირლინგ მორტლოკმა.

ამ ისე-რა მოგებით კმაყოფილი ავსტრალიაში არავინ დარჩენილა — ოზები, სულ მცირე, იმას ითხოვდნენ, რომ ვოლაბებს იტალიელები არგენტინელებზე მაგრად დაემყნოთ. პუმებმა აძურას 36:6 მოუგეს.

დანარჩენ სამხრეთელ ბობოლათა დარად ავსტრალიელებიც თავიანთი ბითური სანოემბრო თამაშის ახსნას ახალბედათა გამოცდითა და სეზონის მიწურულით ცდილობენ. ვოლაბთა კაპიტანი ჯორჯ გრეგანი ინგლისელ ფანებსაც კი აფრთხილებს: „არ მოტყუვდეთ. მე მახსოვს 1998 წლის ქურციკები. ერთი მომენტისთვის ეს მართლაც მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები იყო. მათ ზედიზედ სადღაც 16 თუ უფრო მეტი მატჩი ჰქონდათ მოგებული, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ყველამ იხილა, რომ ამას თურმე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია“.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS გენუიდან

ავსტრალიელი ტოუტაი კეფუ სალელოედ შესრიალდა

## რეგულარული ჩემპიონატი



ვანკუვერის კართან მიგრად დასცხა

# რუამ შემქახა და დაჯდა

25 ნოემბერი

**კოლორადო 1:0 ჩიკაგო 0:0 0:0 1:0**
**1:0 შაინოტი (52)**

კოლორადოს ერთობ უჭირს წლეულს შინ მოგება (მეორედ მოიგო 12 მატჩში), თუმც გუნდის მეკარე პატრიკ რუა მაინც კმაყოფილია. მას შემდეგ, რაც მან თანაგუნდელები დაცვაში უგერგილო თამაშისთვის შეაფუცხუნა, კოლორადოელები, როგორც იქნა, გამოფხიზლდნენ და სამ მატჩში მხოლოდ ორი შაიბა გაუშვეს. ამჯერად კი კარში პატრიკის შემცვლელი დავიდ ებიშერი იდგა.

**დალასი 5:1 ფინიქსი 1:0 1:1 3:0**
**1:0 მოდანო (6), 2:0 გერინი (28), 2:1 ქუინტი (29), 3:1 იანგი (45), 4:1 იანგი (53), 5:1 პელერენი (60)**

კოლორადოსგან განსხვავებით, დალასი შინ თამაშობს ლაღად და ამან ბევრად განაპირობა გუნდის საუცხოო სტარტი. 9 საშინაო მატჩში ტეხასელებმა მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს, რაც საუკეთესო შედეგია გუნდის ისტორიაში.

**სენტ ლუისი 1:4 სან ხოსე 0:1 0:2 1:1**
**0:1 დამფუსი (13), 0:2 სტიუარტი (29), 0:3 შტურმი (34), 1:3 მელანბი (57), 1:4 მარლო (60)**

„მეკარემ მოიგო. მხოლოდ ერთი გოლის გაშვება ასეთ თამაშში საკვირველი რამაა" — შეაქო სან ხოსეს თავკაცმა დერილ სატერმა მატჩის შემდეგ ევგენი ნაბოკოვი. ყაზახის დაბრუნების შემდეგ სან ხოსეს საქმეები ოდნავ მართლაც გამოსწორდა. სენტ ლუისის ლიდერმა კეით ტკაჩუკმა, რომელიც ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა ყინულზე (ზოგადად „ზვიგენების" წინაამდეგ კარგად თამაშობს), მეტოქის წინაამდეგ ვერაფერი გააწყო.

**დეტროიტი 4:5 ედმონტონი 1:0 1:2 2:2 0:1**
**1:0 რობიტაილი (12), 1:1 სტეიოსი (25), 1:2 კარტერი (26), 2:2 ვული (37), 2:3 რ. სმიტი (42), 3:3 ფიოდოროვი (46), 3:4 ნიინიმაა (53), 4:4 შენაჰანი (54), 4:5 ჯ. სმიტი (62)**

საოცარია, მაგრამ დეტროიტის მწვრთნელ-მოთამაშეები საშინაო მარცხის შემდეგ კმაყოფილები ჩანდნენ. რამდენჯერმე ანგარიშის გათანაბრება შევძელით, თამაშიც შინაარსიანი გამოდგაო, ამბობდა ჩემპიონის მწვრთნელი დეივ ლიუისი. „ამ თამაშმა ძველი დროის ჰოკეი გამახსენა, როცა ჩვენი ცსკა კანადურ კლუბებს ხვდებოდა. ყველაფერი იყო, რაც ქომაგს სჭირდება — კომბინაციები, სისწრაფე, ბრძოლა" — კვერი დაუკრა თავკაცს დეტროიტის ყველაზე გამოცდილმა მოთამაშე იგორ ლარიონოვმა. საინტერესოა, რომ ამ გუნდების შაბათის შეხვედრაც არანაკლებ შინაარსიანი იყო, თუმც 1:1 დასრულდა.

**მინესოტა 1:2 ვანკუვერი 0:1 0:0 1:1**
**0:1 ჰ. სედინი (6), 0:2 ლინდენი (46), 1:1 ბრიუნეტი (56)**

ვანკუვერს ზედიზედ მეშვიდე მოგების მოპოვებაში მინესოტამაც ვერ შეუშალა ხელი. წინა მატჩში ჰეთ თრიქის შემსრულებელი და 15 შაიბით მეგოლეთა შორის დაწინაურებული მინესოტელი მარიან გაბორიკი ამჯერადაც აქტიურობდა, თუმც ბოლო წუთებზე მისი საფირმო გასროლის შემდეგ ვანკუვერი დან კლუტიემ იხსნა.

**ოტავა 2:0 ტორონტო 1:0 1:0 0:0**
**1:0 ფიშერი (9), 2:0 შეფერი (28)**

აგერ, შვიდი თამაშია, ოტავა არ აგებს, გუნდის ლიდერმა მარიან ჰოსამ კი ერთი პასის წყალობით ქულიანი სერია 10 მატჩამდე გაზარდა. წინა შეხვედრაში სლოვაკმა, თანამემამულე გაბორიკის დარად, სეზონში მეორე ჰეთ თრიქი მიითვალა.

**რეინჯერსი 3:1 კაროლინა 0:0 1:1 2:0**
**0:1 უელსი (24), 1:1 პეტროვიცკი (36), 2:1 ლინდროსი (42), 3:1 პურინტონი (43)**

**სამველ ღარიბიანი**

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 20 | 10 | 6 | 0 | 4 | 54:42 | 26 |
| პიტსბურგი | 20 | 9 | 3 | 3 | 5 | 62:58 | 24 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 11 | 1 | 0 | 6 | 48:39 | 23 |
| რეინჯერსი | 24 | 10 | 3 | 0 | 11 | 60:73 | 23 |
| აილენდერსი | 21 | 8 | 2 | 0 | 11 | 56:71 | 18 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 20 | 13 | 3 | 1 | 3 | 68:43 | 30 |
| ოტავა | 19 | 11 | 2 | 0 | 6 | 55:46 | 24 |
| მონრეალი | 21 | 9 | 4 | 0 | 8 | 58:67 | 22 |
| ტორონტო | 21 | 8 | 2 | 0 | 11 | 61:59 | 18 |
| ბუფალო | 20 | 4 | 3 | 1 | 12 | 45:59 | 12 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 21 | 12 | 2 | 1 | 6 | 70:56 | 27 |
| კაროლინა | 22 | 9 | 4 | 3 | 6 | 52:52 | 25 |
| ფლორიდა | 23 | 6 | 6 | 4 | 7 | 56:72 | 22 |
| ვაშინგტონი | 21 | 9 | 2 | 0 | 10 | 49:57 | 20 |
| ატლანტა | 20 | 5 | 1 | 1 | 13 | 51:77 | 12 |

### დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 21 | 11 | 3 | 1 | 6 | 63:49 | 26 |
| სენტ ლუისი | 20 | 12 | 1 | 0 | 7 | 65:51 | 25 |
| ჩიკაგო | 21 | 9 | 3 | 0 | 9 | 48:48 | 21 |
| კოლუმბუსი | 21 | 8 | 2 | 2 | 9 | 63:64 | 20 |
| ნეშვილი | 20 | 2 | 4 | 4 | 10 | 39:61 | 12 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 23 | 13 | 4 | 0 | 6 | 65:48 | 30 |
| ვანკუვერი | 21 | 12 | 4 | 0 | 5 | 63:51 | 28 |
| კოლორადო | 22 | 8 | 6 | 3 | 5 | 59:55 | 25 |
| ედმონტონი | 22 | 9 | 4 | 1 | 8 | 59:60 | 23 |
| კალგარი | 21 | 6 | 3 | 3 | 9 | 44:56 | 18 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 24 | 14 | 4 | 1 | 5 | 76:48 | 33 |
| ლოს ანჯელესი | 21 | 9 | 3 | 3 | 6 | 58:56 | 24 |
| ანაჰაიმი | 22 | 8 | 4 | 3 | 7 | 54:59 | 23 |
| სან ხოსე | 22 | 8 | 2 | 2 | 10 | 63:70 | 20 |
| ფინიქსი | 22 | 7 | 3 | 1 | 11 | 53:70 | 18 |

### კვირის მოთამაშე

**ედ ბელფორი (ტორონტო)**



არცთუ ხშირად ხდება, რომ ახალ კლუბში გადასულმა მოთამაშემ, თანაც მეკარემ, უმალააწყოს თამაში. ეს გამოცდილთაც უჭირთ და დალასიდან ტორონტოში გადასული ედ ბელფორიც არ გახლდათ გამონაკლისი. სეზონის დასაწყისში „არწივი" ერთობ დაბნეული ჩანდა, მერე თანდათან მოეგო გონს და წინა კვირაში უკვე ჩვეულებრივ ბრწყინავდა. მან ზედიზედ ორი შათაუტი მიითვალა, 61 „მშრალი" მატჩით პატრიკ რუას გაუტოლდა და მასთან ერთად მოქმედ მეკარეთა სიას სათავეში მოექცა. მისი დახმარებით ტორონტომ აღმოსავლეთის ორ ბობოლას — ბოსტონს (2:0) და ფილადელფიას (6:0) სძლია, ხოლო თავად ბელფორი კვირის ლაურეატი გახდა (ზედიზედ მესამე მეკარე).

**საუკეთესო ექვსეული 18-24 ნოემბერი**

*ედ ბელფორი (ტორონტო, 1); დარკ ტარნსტრომი (პიტსბურგი, 1) — შონ ჰილი (კაროლინა, 1); მარიო ლემიე (პიტსბურგი, 3) — ერიკ კოული (კაროლინა, 1) — მარიან ჰოსა (ოტავა, 2)*



# შამხანის ხანა წავიდა

## ბიორნდალენი სამოვართან ჩაჯდა

სლალომებს, გიგანტურ სლალომებსა და მსგავს რაღაც-რუღაცებს „სამოვარებიც" მიჰყვნენ. ასე ეძახიან სათხილამურო რბოლების ოსტატებს. ამ სახეობაში სენსაციური სიახლეა — ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბიატლონში, ოლე ბიორნდალენმა წინასასეზონო მზადება სწორედ მოთხილამურეებთან ერთად გაიარა და ისიც მოახერხა, რომ ნორვეგიის ნაკრებში მოხვდა ალსგარდთან, ჰეტლანდთან და სხვებთან ერთად. ბიატლონის მეფის პირველი გამოცდა ახალ ამპლუაში სათხილამურო ცენტრ კირუნაში მოეწყო 10 კილომეტრზე. რბოლაში 100 სპორტსმენი მონაწილეობდა. ბიორნდალენი მე-18 იყო. თავისი გუნდის რვა წევრიდან კი მხოლოდ ორმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ჰეტლანდმა და ალსგარდმა აჯობეს. ყველასთვის მოულოდნელად საუკეთესო დრო ფრანგმა ვინსენ ვიტოლმა აჩვენა, მეორე იყო იტალიელი პიეტრო კოტრერი, მესამე მისივე თანამემამულე ფულვიო ვალბუზა.

ქალების 5-კილომეტრიანი რბოლა ესტონელმა კრისტინა შმიგუნმა მოიგო. მეორე და მესამე ადგილები გერმანელებმა ევი სახენბახერმა და კლაუდია კუნტელმა დაიკავეს.

მსოფლიოს თასისთვის დავაში დაწინაურდნენ: კაცებში — ტორ არნე ჰეტლანდი — 160 ქულა, ქალებში — ევი სახენბახერი — 129.

აქვე, კირუნაში გაიმართა ესტაფეტებიც. 4X10 კილომეტრზე იმარჯვეს იტალიელებმა (დი ჩენტა, ვალბუზა, კოტრერი, ზორზი). წამის სულ ერთი მეათედი წააგო ნორვეგიის ნაკრებმა (სკიელდალი, აუკლანდი, ჰეტლანდი, ალსგარდი). მესამე ადგილზე გერმანელები გავიდნენ (შლუტერი, ტაიხმანი, ანგერერი, სომერფელდი).

4X5 კილომეტრი მოიგო ნორვეგიის ნაკრებმა (მოენი, სკარი, სორკმო, სკოფტერუდი). გერმანელები (ჰენკელი, ბაუერი, კუნცელი, სახენბახერი) მეორენი იყვნენ ფინიშთან. იტალიელებმა (ჯენუინი, პარუცი, ფოლისი, ვალბუზა) მესამე ადგილი დაიკავეს.

ამერიკულ პარკ-სიტიშიც გრძელდება სამთოსათხილამურო „ჩვენებები". სლალომში, ისევე როგორც შარშან, შეუდარებელია ხორვატი იანიცა კოსტელიჩი. ამ მუხლმაგარმა ქალბატონმა ორივე ცდა მოიგო და გვარიანი უპირატესობით გაასწრო ფრანგ კრისტელ პასკალს. მესამე ადგილზე გავიდა ავსტრიელი საბინა ეგერი.

კაცებში იმავე დისციპლინაში ვერც ერთი ფავორიტი ვერ მოხვდა პირველ სამეულში. საუკეთესო იყო ავსტრიელი რაინერ შონფელდერი, მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას კი შარშანდელი გამარჯვებული მიხაელ ფონ გრუნიგენი ლიდერობს — 160 ქულა.

**ირაკლი ბერიაშვილი**



რაინერ შონფელდერი

24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS პონტ-ა-პიტრიდან



# გამარჯვებული

აი, ვინ მოიგო ჩვენგან არაერთგზის ნახსენები „რომის გზა“, ნაოსნობის შეჯიბრი, რომელიც ფრანგულ ბრეტანში, სან მალოში დაიწყო და კუნძულ გვადელუპაზე გასრულდა. ინგლისელი შკიპერი ელენ მაკარტური ახლა პონტ-ა-პიტრეს პლაჟზეა და მზის გულზე ისვენებს.

REUTERS დებრეცენიდან



# წახდა

ამ კორეელი ბიჭს, იანგ ტაე-ეოკს მთელი სავარჯიშო პროგრამა ჩაუფლავდა და ტრიალისას ძირს დაეხეთქა. იანგი ძალიან ნერვიულობდა და მწვრთნელმა ფიცარნაგიდან გაიყვანა. ამბავი კი უნგრულ დებრეცენში მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე.

# კინგის ხითხითი

განთქმული ჩხუბთმომწყობი და ოღრაში, დონ კინგი გერმანიამდის ჩასულა და იქ ვიტალი კლიჩკოსთვის დაუჯახებია მავანი ლარი დონალდი. დონალდი მეათე რაუნდში წაქცეულა, თავად კინგს კი არ სწყენია, დორტმუნდში ფულის გასაკეთებლად იყო, ამ დონალდის საქომაგოდ კი არა. ესეც ნახეთ, რა ფარისევლურად მიუბნევია გულზე ბატონ და ქალბატონ ბუშის სურათი.



REUTERS დორტმუნდიდან



REUTERS მიუნხენიდან



# ორივესი

მიუნხენში პრეზენტაცია გაუმართავს „დოიჩე ტელეკომს“, რომელიც ამავე სახელწოდების ველოგუნდის სპონსორიცაა და მიუნხენის „ბაიერნისაც“. ამიტომაც ირგებენ ერთმანეთის სამოსელს ბავარიელთა მეკარე ოლივერ კანი და ველომხედარი ერიკ ზაბელი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჩკაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge